

# საბჭოთა ქალი

№ 1 იანვარი 1960 წ.

მე მინდა ჟურნალ „საბჭოთა ქალის" საშუალებით მივულოცო ჩვენი რესპუბლიკის ქალებს ახალი — 1960 წელი და ვუსურვო მათ ბედნიერება და წარმატება ცხოვრებაში. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი დედები და დები დამდეგ წელსაც აქტიური მონაწილენი იქნებიან იმ გრანდიოზული აღმშენებლობითი შრომისა, რაც გაჩაღებულია დღეს ჩვენს ქვეყანაში. ამის გარანტიაა, სხვათა შორის კულტურული და აღმშენებლობითი შრომის ის ტრადიცია, რომელიც წარსულიდანაც მოსდევთ მათ. ცოტა როდი გვყავდნენ წარსულში ქალები პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწენი, პოეტები და მწერლები, გადამწერელ-კალიგრაფები, მთარგმნელები და ბიბლიოფილები, სამშობლოს ერთგული დამცველი მრავალრიცხოვანი შვილების აღმზრდელი დედები.

მაგრამ მოღვაწეობის ასეთი ფართო ასპარეზი, როგორც დღეს, ქალებს არასოდეს ჰქონიათ. დღეს ისინი უდიდეს როლს ასრულებენ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში, სახელოვნად უძღვებიან სამეურნეო, კულტურულ დაწესებულებებს, აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში.

ვუსურვოთ ჩვენს ქალებს, რომ მომავალში კიდევ უფრო გაეძლიერებინათ თავიანთი წვლილი ახალი ცხოვრების შენების საქმეში, ამასთან ყოფილიყვნენ სახელოვანი დედები, მომავალი თაობის ღირსეული აღმზრდელები.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე

კ. კეკელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა




7993

ეროვნული ბიბლიოთეკა



Paris, le 3 Décembre 1959.

A la Rédaction du Journal
des Femmes Georgiennes
Camarade ABACHIDZE

Chère Camarade,

En réponse à votre télégramme, je vous adresse ma lettre de voeux pour les Femmes Georgiennes à l'occasion de la nouvelle année 1960.

Je vous prie de transmettre mon meilleur souvenir et mon salut le plus fraternel aux Touristes Georgiens avec lesquels nous avons eu le bonheur de faire un si beau voyage à bord du "POBIEDA".

J'ajoute, ainsi que me l'avaient demandé les Camarades une petite note biographique.

Très fraternellement.

პარიზიდან

ჟურნალ
«საბჭოთა ქალის»
რედაქციას,
ამხანაგ აბაშმაძეს

*ძვირფასო ამხანაგო!*

თქვენი დეპეშის პასუხად მოგმართავთ წერილით, რომლის საშუალებითაც მსურს გადასცეთ ჩემი საახალწლო მილოცვა ქართველ ქალებს.

გთხოვთ აგრეთვე ჩემი საუკეთესო სურვილები და დიდი მეგობრული სალამი გადასცეთ იმ ქართველ ტურისტებს, რომლებთანაც ჩვენ გვქონდა ბედნიერება ასე საუცხოოდ გვემოგზაურა გემ «პობედით».

დიდი მეგობრული სალამი.

ჟანეტ ვერმერში

## *ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო დებო!*

*გილოცავთ ახალ — 1960 წელს, მხურვალედ გისურვებთ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას.*

*მე მინდა ქართველ ქალებს, საბჭოთა საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ იხსნა სიბნელისა და მონობის ბორკილებისაგან და სოციალისტურ თავისუფლებასთან ერთად ჭეშმარიტი ემანსიპაცია მიანიჭა, ვუსურვო წარმატება შრომაში, გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში, რომელსაც ყოველდღიურად საბჭოთა ხალხისათვის მოაქვს უფრო მეტი ბედნიერება და სიკეთე ახალი სოციალისტური საზოგადოების საფუძველზე.*

*მე ვისურვებდი აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებებს, რადგან მშვიდობა ეს არის სასიცოცხლო ოცნება ხალხისა, განსაკუთრებით იმ ქალებისა და დედათა, რომელთა გულში ჯერ კიდევ არ შეხორცებულა ომით მიყენებული ჭრილობები. სწორედ ამიტომაა, რომ მშვიდობიანი პოლიტიკა, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხის სახელით იცავს ამხანაგი ხრუშჩოვი, ასე დიდ გამოძახილს პოულობს ჩემი ქვეყნის ქალების გულში.*

*პრემიერ ხრუჩოვს განზრახული აქვს 1960 წლის მარტში ეწვიოს საფრანგეთს. ჩვენ ვიცით, რომ ის არის თქვენი მშვიდობის მოციქული და ასეც მიიღებენ მას ფრანგი დედები.*

*ჩემი დიდი სურვილია ამ ახალი, 1960 წლის დამდეგიდანვე ადამიანებმა მიაღწიონ ომის საშიშროების დაძლევას.*

*ბედნიერი ახალი წელი, ძვირფასო დებო! ჯანმრთელობა თქვენ და თქვენ ოჯახებს!*

*ბედნიერი წელი თქვენს მშვენიერ ლეგენდარულ საქართველოს — განდიდებულს სოციალიზმით.*

*ბედნიერი წელი ხალხთა დიდ ოჯახს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, სოციალიზმის, ძმობისა და მეგობრობის ურღვევი კავშირით შედუღაბებულს.*

*ბედნიერი ყოფილიყოს ეს წელი საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის.*

ჟანეტ ვერმერში,

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, სენის დეპარტამენტის სენატორი. 3 დეკემბერი, 1959 წელი.

# ასე შემოდის წელი ახალი



საახალწლო სუფრასთან ვზივართ. მუხის შეშა წითლად ღვივის ბუხარში. მოლურჯო ალი შეშის სქელ ღეროებს ლოკავს. მაგიდის უფროსი, გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა «გამარჯვების» თავმჯდომარე მიხეილ ჯაშაშვილი ახალი წლის, ახალი კარალეთის სადღეგრძელოს ამბობს.

წინათაც შემოდიოდა ახალი წელი კარალეთში, მაგრამ მაშინ სხვაგვარი იყო სოფელი. მაშინ სად იყო ხარიბეგაშვილის ორსართულიანი ცისფერი სახლი. მთელი სოფელი მიწურში იყო ჩამჯდარი. ახალ წელიწადს ცრემლიანი ხვდებოდნენ, ბავშვებს პური ენატრებოდათ, დედებს—მათი ღიმილი.

ახლა სონია ხარიბეგაშვილის ლამაზი სახლი გამონაკლისი როდია. მთელი სოფელი ასეთი შენობებითაა მოფენილი. პურის და ღიმილის ნაკლებობა კი აბა რა სახსენებელია ოჯახში.

ფართოდ გაშლილ სუფრაზე ვარდისფერი შოთის პურებია. საგანგებო «ხიდისთაური» კი, რომელიც «ატენურთან» ერთად ნექტარივით ისმება, ლაზათს მატებს დახვავებულ ხორაგს.

ახლა ხილს არ იკითხავთ? ვაშლი, მსხალი, ყურძნის ჯაგნები, დაშაქრული ჩურჩხელები, ქარვის კრიალოსანივით ასხმული ჩამიჩი.

ასე შემოვიდა ახალი წელი კარალეთში, მოწინავე კოლმეურნე ქალის ოჯახში.

მერე დიასახლისის, სონიას სადღეგრძელო შესვა თავმჯდომარემ. ის ჯანიანი ქალია, ყოველ წუთში გარბი-გამორბის, ოხშივარამდგარი ხაშლამა და შოთის პურები შემოაქვს. იგი კოლმეურნეობის ფერმაში მუშაობს მწველავად. კოლმეურნე ქალმა იმ დალოცვილ წელიწადს 500-მდე შრომადღე გამოიმუშავა. ამ შრომადღეებისაგანაა სუფრა ასე უხვი.

სონია ოთხი შვილის—რეზოს, ელიზბარის, მაყვალას და თამარის დედაა. სამი მასთან ერთად მუშაობს კოლმეურნეობაში. მარტო უმცროსი, თამარი არ მუშაობს ჯერ. იგი მე-7 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა...

ოჯახის დედას ლამაზი რძალი ჰყავს. ზაირა პირველი რძალია, მისი ერთადერთი შვილიშვილის—პატარა ციურის დედა.

საახალწლო სუფრაა კოლმეურნე ქალის ოჯახში. უხარიათ—ბედნიერად გაისტუმრეს 1959 წელი და კიდევ უფრო ბედნიერი დადგა 1960.

მ. ოქროპირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ძვირფასო დებო— საქართველოს ქალებო!

... უსაზღვროდ მოხარული ვარ თქვენი ჟურნალის საშუალებით გადმოგცეთ ჩემი გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები.

მე აღსავსე ვარ თქვენდამი უღრმესი პატივისცემით და სიმპათიით.

ჩემს ახალგაზრდობაში ბევრჯერ გამიგონია და თვითონაც მინახავს, როგორ ჩასძახოდა ქართველ ქალს მამა, ძმა, ქმარი, მამამთილი, რომ მან უნდა იცოდეს თავისი ადგილი... ეს ადგილი კი იყო მეტად მცირე და უსიხარულო. რომანტიკული შარავანდედით მოსილი შესანიშნავი ქართველი ქალი, რომელსაც მგზნებარედ უმღეროდნენ პოეტები, სინამდვილეში ფრთამოტეხილ ფრინველივით იყო დამწყვდეული ოჯახის ვიწრო გალიაში.

მაგრამ ჩემს თვალწინ, მცირე ისტორიულ მანძილზე, საოცრად გარდაიქმნა ცხოვრება. ქართველმა ქალმა მონახა თავისი ადგილი თავისუფალ ქვეყანაში, მაღალი და საპატიო ადგილი—ქვეყნის მართვაში, მეცნიერებაში, კოლმეურნეობაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, ტექნიკაში...

ჩემო ძვირფასო დებო, მიიღეთ ჩემი სიყვარული. გისურვებთ ყოველ ახალ წელს შეხვდეთ სიხარულით და საამაყო მიღწევებით.

თქვენი ოლღა ფორში

1954 წელს, საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა რომ გახსნა, ოლღა დიმიტრის ასული ფორში 81 წლისა იყო. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი დღესაც დაუცხრომელი შემოქმედის განსაცვიფრებელი მაგალითია. მაღალი და ფაქიზი გემოვნების სიტყვის და ფერწერის ოსტატს მკვეთრად ახასიათებს გარემოს მეტად გულისხმიერი და თავისებური შეგრძნება. ეს უთუოდ განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ოლღა იზრდებოდა ობლების დახურულ ინსტიტუტში, მოსკოვში, ობლურად მიუსაფარი და თავის თავს მინდობილი. მაგრამ დაობლებამდე ბავშვობის წლები ოლღამ კავკასიაში გაატარა, დაღესტანში და მერე სტავროპოლში.

«ადრიანმა ნაცნობობამ კავკასიის ბუნებასთან,—სწერს ოლღა ფორში თავის მოგონებაში,—სამუდამოდ ჩამინერგა გულში ხარბი სიყვარული მზისადმი, სინათლისადმი, ფერთა სიმდიდრისადმი. იგი იქცა შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ... სიყვარული კავკასიისადმი იყო ისეთი ძლიერი, რომ მის გარეშე სიცოცხლე შეუძლებლად მიმაჩნდა...»

ოლღას მოთხრობები და ნოველები, რომლებიც ასახავდნენ მის სულიერ განწყობილებას, ნახულისა და განცდილისადმი უშუალო დამოკიდებულებას, მრავლად იბეჭდებოდა რევოლუციამდელ რუსეთის ჟურნალებში. რევოლუციის შემდეგ ოლღა ფორში, ლიტერატურულ წრეებში უკვე კარგად ცნობილი, ლენინგრადში დასახლდა და დაიწყო მუშაობა თავის პირველ ისტორიულ რომანზე. პეტრე-პავლეს საპყრობილეში ათეული წლების განმავლობაში ცოცხლად დამარხულ რევოლუციონერზე — მიხეილ ბეიდემანზე შექმნილი რომანი «ქვების სამოსელში» პირველი საბჭოთა ისტორიული რომანია. დაუვიწყარ ისტორიულ წარსულზე საოცრად შთამბეჭდავი მანერით დაწერილმა წიგნმა მკითხველთა ერთსულოვანი აღიარება და სიყვარული მოიპოვა. ასევე ფართოდაა ცნობილი ო. ფორშის წიგნი «გადარეული ხომალდი», რომელიც ასახავს რუსეთის ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრებას რევოლუციის პირველი ათეული წლების მანძილზე, ისტორიული რომანები: ტრილოგია «რადიშჩევი», «თავისუფლების პირმშო» და სხვა.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის მრავალი ორდენებით და მედლებით დაჯილდოებული ოლღა დიმიტრის ასული ფორში კვლავინდებურად ემსახურება თავის მაღალ და საპატიო მოწოდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რომ მთების კარი შეეღო

დღე თენდებოდა უღრუბლო, სუფთა და ვარდისფერი. მზე კიდევ არ ჩანდა. მხოლოდ ცის კიდე, საიდანაც ის უნდა ამოსულიყო, ნელ-ნელა წითლდებოდა...

შორს მოსჩანდა ჰორიზონტი, სულ ახლოს კი—შოვი, წიწვებში ჩაფლული და ლამაზი.

ისინი მიდიოდნენ ცხენებით, ძალიან ფრთხილად. გვერდით მეგზურივით მისდევდათ რიონი. ოდნავი აჩქარება და ხევი მათ გულში ჩაიკრავდა.

მიდიოდნენ განთიადისას—ჭაღარაწვერებიანი მოხუცი, ჭკვიანი თვალებით და ქალიშვილი გიშრისფერთმიანი, მოუსვენრად რომ ტოკავდა ცხენზე.

მოხუცი მთელი გზა დაკვირვებით ადევნებდა თვალს გოგონას, ხომ არ შიშობსო.

ის კი ვითომ არავითარი საფრთხე არ ყოფილიყოს, ყველაფერს გულმოდგინედ ათვალიერებდა:

მთები, უზარმაზარი თოვლიანი მთები, ქვევით ჩუმი, მთვლემარე ტყე, ცრემლებდაფრქვეული ხასხასა ბალახი... შემდეგ მზერა კლდეებზე გადადიოდა, გაშიშვლებულ, საიდუმლოებით მოცულ კლდეებზე, ალბათ უნდოდა მათი კარი შეეღო.

მაშინ გამოერკვა, როცა მოხუცმა ალერსიანად მოხვია მხრებზე ხელი.

— მოვედით. აი, ლეჩხუმის ხეობაც, ჩემო ნინო!

მოხუცი—აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე იყო, ქალიშვილი—მისი საყვარელი სტუდენტი ნინო თათრიშვილი, დარიშხნის მადნის შესასწავლად პირველად რომ მოგზაურობდა გეოლოგიურ პარტიასთან ერთად.

ეს იყო 1930 წელს.

* * *

ვინმეს რომ ეთქვა თომა თათრიშვილისთვის შენი ნინო კაბას შარვალზე გასცვლის და ბიჭებთან ერთად რაღაც ქვების საძებნელად ზაფხულს ტყე-ღრეში გაატარებსო, მისთვის ეს ისევე მოულოდნელი იქნებოდა, როგორც ის, რომ მისი ქალიშვილი შემდეგში გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი გახდებოდა.

ნინო დაიბადა 1908 წელს, თბილისში. ოჯახში ის ყველაზე პატარა იყო. ამიტომ თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. როცა დედა ტუქსავდა, მამა საყვედურით შესცქეროდა ცოლს. როცა მამა უჯავრდებოდა, ეფემიას ცრემლებით ევსებოდა თვალები.

თომა დეპოში მემანქანედ მუშაობდა. სახლში გვიან ბრუნდებოდა, დაღლილ-დაქანცული. ფრთხილად მიუახლოვდებოდა ხოლმე ნინოს საწოლს, ნაზად აკოცებდა, ოცნებით გაეთამაშებოდა. რამდენიმე საათი წაიძინებდა და ისევ თავიდან იწყებოდა დღე, უფერული და უსიხარულო.

როცა ნინო სკოლაში შეიყვანეს, დგებოდა 1918 წელი. მერე მემანქანის ქალიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

პეტროგრაფიის კათედრასთან არსებულ «ფლორიდინის» ლაბორატორიაში მიკროსკოპთან გულდასმით დახრილმა გოგონამ მიიქცია აკადემიკოს ალ. თვალჭრელიძის ყურადღება. მანვე გადაწყვიტა მისი მომავალი ბედი. ნინო მთელი არსებით გაიტაცა გეოლოგთა ცხოვრებამ.

...დაუპატიჟებელ სტუმარივით გეტმასნება ფეხზე ტალახი... სახეზე ცრემლებს გაფრქვევს წვიმა, გწვავს, საშინლად გწვავს ქარი, მაინც მიდიხარ ანტიმონიტის, რეალგარ-აურიპიგმენტის, მთის ბროლის სამყაროში.

ბუნების წიაღში იგრძნო ნინომ თუ როგორი საჭიროა გეოლოგისათვის პეტროგრაფიული გამოკვლევების ზუსტი თეორიის ცოდნა. მან ველზე მიღებული პრაქტიკული გამოცდილება გამოყენებით მინერალოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში განაზოგადა.

პირველი წარმატება—პრემია საუკეთესო მუშაობისათვის, 4 თვე გატარებული ლენინგრადში, მოსკოვის პეტროგრაფიის აკადემია.

«თავისი მეცნიერულ კვლევათა დასაწყისშივე მან ყოველმხრივ ისახელა თავი. ის დაჯილდოვებულია არამარტო აკადემიური კვლევის ნიჭით, არამედ განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით და სიბეჯითით. მომავალში მისი სახით გვეყოლება შესანიშნავი ქართველი პეტროგრაფი»—წერდა 26 წლის ნინო თათრიშვილზე აკადემიკოსი დ. ბელიანკინი.

კვლავ ველზე მუშაობა. იმერეთი და ზემო რაჭა, წალკა და სვანეთი: გზა მამისონის გადასასვლელიდან ედენის მყინვარამდე. უძველესი მაგნური ქანების ასაკისა და წარმოშობის თავისებურებათა გამორკვევა.

დადგა 1938 წელი. უნივერსიტეტის კათედრაზე საშუალო ტანის შავგვრემანი ქალი იცავს დისერტაციას თემაზე—«კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთის პეტროგრაფიისათვის».

ის იყო პირველი ქართველი ქალი, რომელმაც მოიპოვა გეოლოგია-მინერალოგიის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

კვლავ გრძელდება დაძაბული შრომისა და ძიების გზა, ახლა უკვე თავის მეუღლესთან პროფესორ გიორგი ზარიძესთან ერთად. «საქართველოს მაგმური გეოლოგიის შესავალი», «საქართველოს მაგმატიზმი და მათთან დაკავშირებული გამადნებანი»—მათი კოლექტიური ნაშრომებია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ყალიბდება გეოლოგიის ინსტიტუტი, სადაც უფროს მეცნიერ თანამშრომლად პეტროგრაფიაში იწვევენ ნინო თათრიშვილს.

1948 წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე—«მაგმური აქტივობა საქართველოში პალეოზოურამდელ და პალეოზოურ პერიოდში». ეს ნაშრომი იკვლევს უძველეს პალეოზოურამდელ და პალეოზოურ ვულკანიზმს, პლუტონიზმს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დადგენილიყო ამ ქანების წარმოშობის პირობები და მასთან დაკავშირებული გამადნებების საკითხები. შეიქმნა ერთიანი მწყობრი თეორია, ნინო თათრიშვილს მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1952 წელს კი დაინიშნა მინერალოგიის და პეტროგრაფიის კათედრის პროფესორად. მის კალამს ეკუთვნის 60-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მრავალი სტატია და ბროშურა.

შრომის წითელი დროშის ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი—აი, ჯილდოები დაუღალავი შრომისათვის.

* * *

მინდა როგორმე წარმოვიდგინო მთებში ეს ქალი. თვითონვე მეხმარება. გაყვითლებულ სურათს მაწვდის, ფოტომოყვარულის ხელით გადაღებულს.

ნინო ცხენზეა, მხრებზე ნაბადწამოსხმული, თავზე პატარა სვანური ქუდით. იღიმება. სრულებით არ შეცვლილა, მხოლოდ თმაზე დაუთოვია თითქოს.

**ლია თევზაძე**



# ამბავი მთიელი ქალიშვილისა

პატარა ფერდობზეა შეფენილი თანიაანთკარი. გზებზე გაბარჯღული კაკლები.. რომელთაც არაგვით მონაბერი ნიავი ულიტინებს. ამომავალი მზე პირდაპირ იცქირება და ყანებში სამუშაოდ მიმავალთა თვალებში ჭიატობს. უყვარდა ასმათს ალიონზე ადგომა, გოგო-ბიჭების დაძახება და ყანაში წასვლა, საღამოობით ტაშფანდური და შაირობაში გაჯიბრება.

კარგი იყო თანიაანთკარი! პატარა, წყნარი, აუმღვრეველი. გაზაფხულობით ხასხასა მწვანეზე თვალებბრიალა ხბორებით, ზაფხულში მცხუნვარე კალოთი და ყინულა წყლით, შემოდგომაზე გოდორა ვაშლებით და კომშებით.

კარგი იყო თანიაანთკარი, მაგრამ მთების გადაღმიდან უხმობდა უფრო მომხიბლავი ცხოვრება, ძლიერი, ხმაურიანი, ხალისიანი. მისი ყიჟილი მიჰყვებოდა მტკვარს, ასდევდა არაგვს და თანიაანთკარის მყუდროებაში მაღალი ხმით იჭრებოდა. ყველა ნაამბობიდან, რომელიც ქალიშვილს თბილისზე სმენოდა, მეხსიერებაში შთაბეჭდოდა ერთი სურათი—სადღესასწაულოდ განათებული რუსთაველის პროსპექტი მოსეირნე ზღვა ხალხით. ამ წარმტაც სანახაობას ის უნებლიეთ ადარებდა თავის ოთხმოცკომლიან სოფელს, რომელსაც ზოგჯერ ისე გაივლის კაცი, რომ ძე-ხორციელი არ შეხვდება.

— ქალაქში უნდა ვიმუშაო,—თქვა ასმათმა ერთხელ.

მამამ წარბები ასწია, შორს დაიჭირა.

— მე ჯერ ისე არ გამჭირვებია, გესმის? ისიც მეყოფა, სიკვდილის დღეზე ჩემი გიორგი, შალიკო და გიგა რომ ვერ დამესწრებიან. ვინც ომში წავიდა, აღარ დაბრუნებულა, საფლავებიც არ ვიცი მათი... ჰოდა, თუ მამის რიდი გაქვს, მეორედ აღარ მიხსენო წასვლა.

აღარც უხსენებია, ვიდრე მამა ცოცხალი ჰყავდა.

მერე კი, თუმცა კარგი იყო თანიაანთკარი, სახლიკაცებით, ტოლ-ამხანაგებით, შეუდარებელი ზაფხულით, მშვიდი, ოქროსფერი შემოდგომით, დიდთოვლიანი ზამთრით, მაინც დატოვა და ბიძაშვილებს—ნადიასა და მაყვალას გამოჰყვა. გოგოები ძაფსართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მუშაობდნენ და ასმათიც იქ მიიყვანეს.

ყველაზე უფრო ყვითელთაღებიანმა ვეება შენობამ გააოცა, რომელიც უზარმაზარ ეზოს გარს ევლებოდა. ყურადღებას იქცევდა ფაქიზად მოვლილი ბაღი და ყვავილნარები. მოწიწებით თავდახრილი შევიდა იგი ხმაურიან საამქროში, სადაც ასზე მეტი დაზგა გრიალებდა და თვითეული სამასზე მეტ თითისტარს ატრიალებდა. როცა სამუშაო დღე დამთავრდა და ლურჯხალათიანთა ნაკადი მთავარ შესასვლელს მიაწყდა, ასმათ თანიაშვილმა იფიქრა, რომ ამდენი მცხოვრები მთელს თანიაანთკარში დიდიან-პატარიანად არ შეგროვდებოდა. ჯერ არ მოსულიყო და უკვე თავი მოსწონდა კომბინატით, მუშებით, საამქროებით.

ორი დღე ზვერავდა იქაურობას. ბოლოს გადაწყვიტა, თვენახევრიანი კურსები გაევლო და სართავი მანქანის მწმენდაობა ესწავლა. ამ საქმეს მეტად მოხდენილად ასრულებდა მარია მოლჩანოვა: სწრაფად ჩაუვლიდა მანქანას ბოლომდე, გადმოსწევდა 300-ზე მეტ სახელურს, გადმოხსნიდა 100-მდე პრიალა ნაწილს, მერე ამოჰყვებოდა, სათითაოდ გააცლიდა ბამბის ნარჩენებს, ბოლოს ყველაფერს ისევ თავის ადგილას ჩააწყობდა.

ასმათი მისი შეგირდი გახდა.

სამი წლის შემდეგ შეგირდმა გაუსწრო ოსტატს. მარიამ ბრიგადირობაზე ხელი აიღო, ასმათს გადაულოცა, თვითონ კი რიგით მწმენდავად დარჩა. მარიას უხაროდა ნაშეგირდალის ყოველი წარმატება, ძველებურად არ იშლიდა დარიგებას.

ასე გავიდა წელიწადი. კომბინატში მწმენდავთა პირველმა ბრიგადამ სახელი გაითქვა. სართავი მანქანების ის კომპლექტი, რომელსაც ასმათი და მისი მეგობრები ემსახურებოდნენ, მუდამ კრიალებდა, ამის გამო თითისტრებიც სწრაფად ბრუნავდნენ, ძაფიც ბევრი და ხარისხიანი ირთვებოდა.

წუხდნენ მესამე კომპლექტზე მომუშავე მრთველები. მწმენდავთა ბრიგადის ხელმძღვანელი შურა ლაზარევა თავს ვერართმევდა საქმეს, ბრიგადა ყოველთვიურად ჩამორჩებოდა.

ერთ დღეს კომბინატი ვალენტინა გაგანოვას თაოსნობამ აალაპარაკა.

— შენ რას ფიქრობ?—ჰკითხა მარიამ ასმათს.

— საუცხოოა!

— განა ჩვენ კი არ შეგვიძლია ასეთი საქმის წამოწყება? ჩვენთანაც ხომ არიან მოწინავე და ჩამორჩენილი ბრიგადები?..

— არიან. მაგრამ...

— ჰოდა, შენც აიღე და შურა ლაზარევას ბრიგადაში გადადი.

— გადავალ, მაგრამ...

მარია პარტიული კომიტეტის მდივანთან მივიდა.

— ასმათი მორცხვობს, შურასი ერიდება. თქვენ თუ ეტყვით, გაბედავს.

უთხრეს და გაბედა. გაიხარეს მწმენდავთა მესამე ბრიგადის წევრებმა. დანაღვლიანდა შურა ლაზარევა, 12 წელი ბრიგადირად იყო, ახლა სახელიც აკლდებოდა, ხელფასიც. მაგრამ რა ეთქმოდა? დაუთმო, მის ბრიგადას კი არ მოსცილდა.

— კომბინატიდან სულ წავალ, თუ ძალას დამატანთო, — განაცხადა. დატოვეს. ასმათის იმედი ჰქონდათ: თვისებიანია, გულიანი, შეეწყობიანო.

ახალ ბრიგადირს არავითარი წინასწარი თათბირი არ ჩაუტარებია. საქმე ყველამ ჩინებულად იცოდა, მთავარი იყო მონდომება, მუშებს წახალისება სჭიროდათ, სხვა არაფერი—ასე სჯეროდა ასმათს. ამიტომ ქორივით ევლებოდა დაზგებს. ხან ერთს ამოუდგებოდა გვერდით, ლაპარაკს გაუბამდა, გაალიმებდა, თან ეხმარებოდა, ხან მეორეს მიეშველებოდა, მერე მესამესთან მიიჭრებოდა. მთელი დღე დაუღალავად ტრიალებდა, არაფერს ივიწყებდა.

— როგორ დაგვტრიალებს!—ამბობდნენ იმედმიცემული მწმენდავები და თვითონაც უმატებდნენ სისწრაფეს.

ის დღეებში ბრიგადის ერთერთი წევრი გაუთხოვდათ.

— გადმოვალ შენთან,—უთხრა მას მარია მოლჩანოვამ.

ასმათმა გაიხარა.. მეორე დღეს მარიამ დატოვა თავისი ბრიგადა და ნაშეგირდალთან მივიდა.

— რამ შეაყვარა ასე ეს გოგო,—ამბობდა შურა. რაც ასმათი მათ ბრიგადაში მოვიდა, იგი უგულოდ ეკიდებოდა საქმეს.

ასმათი ხედავდა, მაგრამ არავისთან ჩიოდა. ცდილობდა ხშირად ყოფილიყო ლაზარევას გვერდით, მაშინ ყოფილი ბრიგადირი იძულებული იყო სწრაფადაც ემუშავა და ხარისხიანადაც.

ასე გავიდა ერთი თვე. აგვისტოს შედეგები რომ შეაჯამეს, გაკვირდნენ: 46 პროცენტი იყო ბრიგადის წინსვლა. მუშებმა გაცილებით მეტი ხელფასი მიიღეს, შურა ლაზარევასაც კი აღარ ჰქონდა სამდურავი.

იმატა მესამე კომპლექტის მრთველების მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ.

გახმაურდა ადრე ჩამორჩენილი მესამე ბრიგადის სახელი.

წარმატებამ კიდევ უფრო დაამეგობრა ბრიგადის წევრები. ერთ კოლექტივად შეკრა.

ოთახში ორნი ცხოვრობენ: ფიცხელაურის ქალი და თანიაანთკარელი ქალიშვილი. ასმათის ნათესავი ასმათთან ერთად მუშაობს კომბინატში, ახლახან შეუსრულდა 21 წელი. მისი მრთველთა ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელს ატარებს. ხშირად ერთი რომ სამუშაოდან ბრუნდება, მეორე—მიდის. ზოგჯერ მძინარე ასმათს შუაღამეზე ვიღაცა აწუხებს:

— გოგო, ახალი ამბავი არ გინდა? ესა და ეს გათხოვდა, ამან და ამან საჩუქარი მიიღო, ამან ამას გაუსწრო, იმას კიდევ ძმა ჩამოუვიდა, ისეთი კარგია, ისეთი, რომ...

— თავი დამანებე,—ბუტბუტებს ასმათი, თან მაინც უსმენს დობილს.—დიდი რამე, თუ ძმა ჩამოუვიდა!

დილით კი ისევ კომბინატი, ვეება ძაფსართავი მანქანების ხმაური, შრომა, წინსვლა, ოცნება, ბრძოლა, სიყვარული...

და გრძელდება ცხოვრება მთიელი ქალიშვილისა.

ეთერ სახვაძე

# ხალიჩების ოსტატები

შუქია ლიქოკელმა თავისი ბავშვობა მთახევსურეთის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში, აჭეში გაატარა. ხევსურმა გოგონამ დედისაგან ისწავლა ხალიჩების ქსოვა, შეიყვარა ეს მიმზიდველი ხელობა და როცა დუშეთში ხალიჩების საქსოვი საამქრო გაიხსნა, სიხარულით მიაშურა მას.

შუქია ლიქოკელის ბრიგადაში 20 საშუალო სკოლადამთავრებული კომკავშირელია გაერთიანებული. ისინი მაგდანა ჩოხელის ბრიგადის წევრებს ეჯიბრებიან და ყოველთვის პირველ ადგილზე დგანან. კომკავშირელთა მიზანია მოიპოვონ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება, იყვნენ სასახელონი და საამაყონი. ახალგაზრდები ყოველდღიურ დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებენ და ყოველთვის პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

დუშეთში ვინ არ იცნობს სკოლის მერხიდან პირდაპირ საქსოვ დაზგასთან მოსულ გოგოებს: ნარი ღარიბაშვილს, მადონა გალეგაშვილს, ნაზი ხოსიაშვილს, ზიზილა ზარიძეს, ნანა გუგესაშვილს და სხვებს – ხალიჩების საამქროს მოწინავე ახალგაზრდებს.

ხალიჩების საამქროში შესვლისთანავე თვალს მოგტაცებთ ვეფხვის ტყავივით აჭრელებული ხის დაზგები. ახალგაზრდები თეთრი ქაფის ქსელში ფერადფერად ნართს ქარის სისწრაფით აქსოვენ. მქსოველებს უყვართ თავისი საქმე, ამაყობენ თავისი ნახელავით—ათასგვარი ორნამენტებით აჭრელებული ხალიჩებით.

დღითი-დღე ფართოვდება ხალიჩების საამქრო, იზრდება ახალგაზრდების რიცხვი. ისინი დუშეთურ ხალიჩას მალე მთელ საქართველოში გაუთქვამენ სახელს.

გ. გიგაური



შუქია ლიქოკელი

ფოტო შ. რისტიაშვილის

ბიბლიოთეკა

ოთახში ყველაფერი მის დიდ, საამაყო გზებზე მომითხრობდა. სავარძელში იჯდა ქალი, ლამაზი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ამ ოთახში ყველაფერი—ვერცხლისა და ბროლის ლარნაკები, ჩარჩოში ჩასმული «დიპლომები», ოქროსა და ვერცხლის მედლები, ალბომებში წლების მიხედვით ფაქიზად ჩაკრული ფოტოსურათები, სპორტული დღიურები, ნახაზები, წლების მანძილზე გაკეთებული, და წერილები, უცხოური მარკებით აჭრელებული...

უყვარს მუსიკა და უბრალო ხალხურ მელოდიებში შეუძლია იპოვოს გულწრფელი აზრი. ბუნება აჯადოებს, და იქ, სადაც სხვები ხედავენ მხოლოდ ტყეს ან მთებს, მის წინ ყოველთვის წარმტაცი ფერების ზღაპრული სამყარო იშლება. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ადამიანის სხეულის მოძრაობის სილამაზე ხიბლავს. ბავშვობაში უნდოდა გამხდარიყო მოცეკვავე, მერე—სპორტსმენი და, ბოლოს... მწერალი. ჩვიდმეტი წლისამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რისთვის მოეკიდა ხელი. სკოლაში ეუბნებოდნენ—მას შეუძლია იყოს შესანიშნავი ინჟინერი, მათემატიკოსი. სტადიონზე, ოდესაში, მეგობრები მძლეოსნის საკავშირო დიდებას უწინასწარმეტყველებდნენ. თვითონ კი ნანობდა—ერთდროულად არ შეეძლო ყოფილიყო გამოჩენილი მეცნიერი, მსოფლიო ჩემპიონი და სახელმოხვეჭილი მწერალი.

მოსწონდა სპორტის ბევრი სახე: ცურვა, ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, სროლა, კალათბურთი, ხელბურთი...

პირველად 1936 წელს გაისმა მისი სახელი საბჭოთა კავშირში. თექვსმეტი წლის ნინო დუმბაძემ საკავშირო რეკორდები დაამყარა გოგონებს შორის სიგრძეზე და ადგილიდან ხტომაში.

მაგრამ ერთერთი შეჯიბრების დროს ფეხი დაიზიანა. მაშინ გადაწყვიტა ხელი მოეკიდა მძლეოსნობის ისეთი სახისათვის, რომელიც ყველაზე ნაკლებ საშიში იქნებოდა ფეხისთვის.

ასე გახდა ნინო დუმბაძე ბადროსმტყორცნელი. ეს იყო მძლეოსნობის ერთერთი ყველაზე საინტერესო, რთული და ჩვენში იმ დროს ნაკლებად გავრცელებული სახე.

და დაიწყო ვარჯიში.

«ვარჯიში»... არ შეიძლება ამ ერთი სიტყვით ყველა მისი ძიების გამოხატვა...

1936 წელს ნინოს საუკეთესო შედეგი იყო ოცდაცხრა მეტრი, შემდეგ წელს—ოცდაჩვიდმეტი... ორმოცდაორი... ორმოცდათხი... ორმოცდახუთნახევარი... ერთ წელიწადში სამჯერ გადააჭარბა საბჭოთა კავშირის რეკორდს (40,88) და როდესაც 1937 წელს მის მიერ გატყორცნილი ბადრო ორმოცდახუთნახევარ მეტრს გასცდა—ეს იყო მსოფლიოში მესამე შედეგი.

1939 წელს მან გააუქმა გიზელა მაუერმაიერის მსოფლიო რეკორდი. საბჭოთა კავშირის რეკორდი ბადროს ტყორცნაში ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე ოთხმოცი სანტიმეტრით გაიზარდა. ზუსტად 41 დღის შემდეგ კი ნინომ საბჭოთა კავშირის რეკორდი ერთი მეტრით და ოცდასამი სანტიმეტრით გაზარდა.

ასე დაიწყო მან. ის იწყებდა იქ, სადაც ბურჟუაზიული* ქვეყნების სპორტსმენებმა «გააკეთეს ყველაფერი» და დასვეს ადამიანის «შესაძლებლობის ზღვარი». ჯერ კიდევ 1936 წელს მაუერმაიერის რეკორდული ტყორცნა მათ გამოაცხადეს «უმაღლეს მიღწევად» ქალებისათვის. და მართლაც, მას შემდეგ ვერც ერთმა სპორტსმენმა ქალმა ვერ სტყორცნა ბადრო იმაზე უფრო შორს, ვიდრე ეს ერთხელ შესძლო მაუერმაიერმა, მხოლოდ ერთხელ, რადგანაც თვით მაუერმაიერმაც შემდეგ ვეღარ გაიმეორა თავისი რეკორდული შედეგი.

ნინოს პირველივე გამოსვლამ შეუდარებელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე. მაყურებლებმა, სპორტსმენებმა, მსაჯებმა, მწვრთნელებმა ნინო დუმბაძეში დაინახეს არა მარტო ნიჭიერი ბადროსმტყორცნელი და ყოველმხრივ განვითარებული სპორტსმენი. მათ წინ წარსდგა მტყორცნელი—ნოვატორი, რომელმაც ახალი ტექნიკა შექმნა. და თუმცა იმ წლებში ჯერ კიდევ ადრე იყო ლაპარაკი დუმბაძის სტილზე, მაგრამ მაშინაც უკვე ცხადი იყო,—ამ ბადროსმტყორცნელის სპორტული შემოქმედება თავისთავად წარმოადგენდა შესანიშნავ მოვლენას საბჭოთა მძლეოსნობაში.

ახალგაზრდა სპორტსმენს უკვე ჰქონდა აკადემიური ცოდნა ბადროს ტყორცნის ისტორიასა თუ თეორიაში. ბრინჯაოს ბადროსმტყორცნელი მირონი ასწავლიდა მოძრაობის სიმშვენიერეს, მსოფლიოს საუკეთესო ბადროსმტყორცნელთა კინოგრამები უხსნიდნენ ტყორცნის ტექნიკას. მათემატიკა, ფიზიკა, ბიომექანიკა და აეროდინამიკა დაეხმარა ეპოვა სწორი შეფარდება სხეულის სიმაღლესა და წონას შორის, ესწავლა ცენტრიდანული ძალის, ინერციის ძალის დაფასება, ჰაერის ტემპერატურის, ქარის მიმართულების და ბადროს ფრენის ხარისხის მხედველობაში მიღება. მან შეისწავლა ბადროს ტყორცნის მოქნეული ფინური სტილი, მოსინჯა და უარყო ამერიკელ ბადროსმტყორცნელთა მანერა. თვეების მანძილზე ადგენდა დატვირთვას თვითეული კუნთისათვის, განსაზღვრავდა ძალის ურთიერთმოქმედებას, ამუშავებდა სხეულის მოძრაობების კოორდინაციას...

მუშაობდა დაჟინებით, მკაცრად. მისი წვრთნის დღიურები დაფარულია რიცხვების, ფორმულების გაუთავებელი სვეტებით.

ახალი ტექნიკის შექმნაში მასთან ერთად მუშაობდა მისი მეუღლე და მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის დიაჩკოვი.

1946 წელს, ერთი თვით ადრე, სანამ ნინო ნორვეგიაში ევროპის მძლეოსანთა პირველობაზე გაემგზავრებოდა, ის ინახულა სამმა უცხოელმა კორესპონდენტმა. ეს იყო მოსკოვში, სტადიონზე «სტალინეცი». კორესპონდენტები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მაღალ, ლამაზ ქალს, ორდენებით მკერდდამშვენებულს. მათ შეკითხვებზე ნინო მოკლედ იძლეოდა პასუხს:

— ჰო, ძნელი იყო, ძალიან ძნელი...

— არა, არამარტო ჩემთვის. ჩემი პირადი მწუხარება არაფერი არ არის ჩემი ხალხის მწუხარებასთან და მსხვერპლთან.

— ქმარი? პირველ დღესვე წავიდა ფრონტზე. ჰო, მარტო დავრჩი ჩემს შვილთან. ვმუშაობდი ადგილობრივ თავდაცვითს რაზმში.

— ვიყავი თუ არა ფრონტზე? ფრონტის ხაზმა თვითეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში გაიარა.

— არა, სპორტისთვის არ დამინებებია თავი. ომის წლებში ცხრაჯერ გავაუმჯობესე გერმანელი მაუერმაიერის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი და დავამყარე საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი. ახლა ის 157 სანტიმეტრით მეტია იმაზე, რასაც თქვენს გაზეთებში უმაღლეს მიღწევად თვლიან ქალებისათვის.

— რა შედეგზე ვოცნებობ? 53 მეტრი!

კორესპონდენტები საკმაოდ კარგად ფლობდნენ რუსულ ენას. მაგრამ მათ არ დაუჯერეს თავიანთ ყურებს და არც თარჯიმანს.

ნინო დაიხარა და მსხვილი ასოებით დაწერა მიწაზე ბადროთი—53.

სამმა უცხოურმა გაზეთმა მოათავსა თავისი კორესპონდენტების სტატიები ნინო დუმბაძეზე. სამივეს ჰქონდა ერთნაირი სათაური: წვრილი შრიფტით ეწერა—53, გვერდით კი გამოყვანილი იყო უშველებელი კითხვის ნიშანი.

ამ დროს ნინო უკვე ნორვეგიაშია და წარმატებით გამოდის შეჯიბრებებში ევროპის პირველობაზე.

მაგრამ ჯერ კიდევ ძალაშია მაუერმაიერის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი—48,31 მეტრი...

ეს იყო ქალაქ საარპსბორგში.

ნინო შევიდა წრეში. ღელავდა—დღეს, დღეს უნდა დაუმტკიცოს მათ!—დააჯერა თავი და მიიღო საწყისი მდგომარეობა.

და უცებ, თვითონ არ იცოდა რატომ, გაახსენდა მოსკოვი, სტადიონი «დინამო», დღე, როდესაც მან პირველად სცადა მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება.

მაშინ, მოსკოვში, აი ასევე დადგა წრეში, მაგრად მოკიდა თითები ბადროს და უცებ იგრძნო, როგორ შეერწყო მისი ნება ათასობით ადამიანის ნებას. ისინი ტრიბუნებზე ისხდნენ, ღელავდნენ და უნდოდათ გაემარჯვა ნინო დუმბაძეს...

ახლა, ნორვეგიის ამ უცხო, პატარა ქალაქში აუცილებლად უნდა გაემართლებინა მათი იმედი. ნინომ ღრმად ამოისუნთქა, შემობრუნდა, ბადრომ გაჰკვეთა ჰაერი და... გასცდა თეთრ დროშას—მაუერმაიერის სარეკორდო ხაზს. მან არც კი იცოდა, სად დაეცა ბადრო, მაგრამ ხალხის მქუხარე ოვაციებმა აგრძნობინა: ასრულდა!

ორმოცდაათი მეტრი და ორმოცდაათი სანტიმეტრი!

და ცდილობდა ნინო მოესწრო ყველა მისკენ გამოწვდილი ხელის ჩამორთმევა...

მოხუცი ნორვეგიელი, მკერდზე მძლეოსნის ნიშნით, მიუახლოვდა ნინოს და სთხოვა თარჯიმანს:

— უთხარით ფრაკენ დუმბაძეს, რომ მან სასწაული მოახდინა. ასეთი ტყორცნა ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი!

— როგორ სთქვა? ერთხელაა შესაძლებელიო?—იკითხა ნინომ,—ო, არა, ასეთი ტყორცნა ჯერ კიდევ შორსაა ზღვარისაგან. გადაუთარგმნეთ: «ყველაფერს შესძლებს ის, ვინც გაბედულია და არაფრის არ ეშინია.»

* * *

იცოდა უკვე—ნაპოვნი იყო გზა უფრო მაღალი მაჩვენებლისათვის. ისევ მოთმინებით გადასინჯა თავისი გამოსვლები. ტექნიკურად ყველაფერი სწორი იყო: ბადრო ხელიდან ძალიან დიდი სისწრაფით გავარდა, გაიარა შედარებით დიდი მანძილი. მოძრაობა იყო ფართო და თავისუფალი.

მაინც დაფიქრდა. არ ასვენებდა აზრი: ტყორცნა უფრო დიდი სისწრაფით შეიძლებოდა, მაშინ ბადრო უფრო შორს დაეცემოდა...

ისევ ვარჯიში... ისევ წვრთნა... საწერ მაგიდასთან გატარებული საათები... ნახაზები... ისევ კინოგრამები...

და გადაწყდა—უნდა გაზარდოს მობრუნების სისწრაფე თავიდანვე, სტარტიდან...

და დადგა ის დაუვიწყარი 1948 წლის აგვისტოს დღე მოსკოვში...

პირველი ტყორცნა—51,75 მეტრი. მსოფლიო რეკორდი!

სტადიონზე გრგვინვასავით გადაივლის ტაშის გრიალი. საბჭოთა რეკორდი სამნახევარი მეტრით გაიზარდა ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე, და თითქმის ათი მეტრით გადააჭარბა სეზონის საუკეთესო შედეგს.

მეორე ტყორცნა—52,40 მეტრი. ახალი მსოფლიო რეკორდი! ყოველი მხრიდან ტაში, შეძახილები, მაგრამ ნინოს არაფერი ესმის...

მწვრთნელს, ბორის დიაჩკოვს, ასეთ წუთებში ყოველთვის ავიწყდება, რომ ის ნინოს მეუღლეა, რომ მათი ბიჭი უკვე სკოლაში დარბის, ის სწრაფად უახლოვდება ნინოს, ეუბნება—დამშვიდდეს, მოიკრიბოს ძალა, რომ მკრავში არის კიდევ სიჩქარე და ბადრო უნდა გასცდეს, აუცილებლად უნდა გასცდეს 53 მეტრს!

მესამე ტყორცნა—53 მეტრი და 25 სანტიმეტრი.

მესამე მსოფლიო რეკორდი!

ამ ტყორცნით ნინომ ოცდამეათეჯერ გადააჭარბა გიზელა მაუერმაიერის მსოფლიო რეკორდს. ამაზე ვეღარ დახუჭეს თვალები იქ, დასავლეთში. ნინო დუმბაძის შედეგი აღიარეს და საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ დაამტკიცა ის, როგორც ოფიციალური მსოფლიო რეკორდი.

* * *

1949 წელი. ბუქარესტი. მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალი.

ნინო იდგა ანძასთან. ნელა მიიწევდა ზევით ფესტივალის დროშა. გარშემო ტრიალებდნენ კინოოპერატორები და ფოტოკორესპონდენტები. ერთერთი მათგანი განსაკუთრებული მონდომებით უღებდა სურათს ნინოს. მერე მიუახლოვდა მორცხვად:

— მიცანით?

ნინო დააკვირდა და უბრალოდ სთქვა:

— გიცანით. ორმოცდაცამეტი და დიდი კითხვის ნიშანი!

კორესპონდენტი ისე ათვალიერებდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ მის წინ ნამდვილად ნინო დუმბაძე იდგა. დიდხანს ეძება რაღაც ჯიბეში. ბოლოს ამოიღო სპორტული შეჯიბრებების პროგრამა, სადაც შავი ფანქრით იყო დაწერილი ოთხ ენაზე: «ბადროს ტყორცნა ქალებისათვის—მსოფლიო რეკორდი—დუმბაძე, სსრკ—53, 25 მეტრი».

— რას მეტყვით თქვენს გეგმებზე ახლა?

— 56 მეტრი!

— აუცილებლად დავწერ ამის შესახებ,—სთქვა უცხოელმა,—მხოლოდ აღარ დავსვამ კითხვის ნიშანს!

სამშობლოს სადიდებლად, ახალი რეკორდებისათვის ბრძოლაში გადიოდა თვეები და წლები, ათობით და ასობით წვრთნის საათები და ყოველი მომდევნო ვარჯიში რაღაცით უკვე აღარ ჰგავდა წინას.

და როცა 1952 წელს თბილისში, რესპუბლიკურ პირველობაზე ნინო დუმბაძე შევიდა წრეში, მარტო მისთვის ჩვეული, ლამაზი მოძრაობით სწრაფად შემობრუნდა, ფართოდ, თავისუფლად მოიქნია ხელი და ბადრო 57 მეტრს გასცდა, თითქოს არავის გაუკვირდა. იცოდნენ—ნინო ჰაერზე არ აგდებს სიტყვებს და იმიტომ.

მხოლოდ ყოველი მხრიდან ცვიოდა ყვავილები და ულოცავდნენ. ეს იყო ახალი მსოფლიო რეკორდი. ის დღესაც ძალაშია.

* * *

წლებს თავისი მიაქვთ... ნინომ ორჯერ მძიმე ოპერაცია გადაიტანა. სპორტს მაინც არ ჩამოშორებია. წარმატებით დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა, მალე დაიცავს დისერტაციას.

ახლა ყოველდღე მონდომებით ასწავლის თავის ხელოვნებას სხვას, და სპორტულ დარბაზებში მოუთმენლად ელიან მას ნანა ბაბილოძე, ინგა მხეიძე, ქეთო კახიშვილი...

— ვინ იცის...—ამბობს ნინო და აღარ ამთავრებს.

ახსენდება რუმინელი ლიუ მანოლიუ. რამდენი საათი გაუტარებია მასთან ვარჯიშში, რამდენი რამ ასწავლა. და მერე უხაროდა გულწრფელად—მანოლიუ რუმინეთის რეკორდსმენი გახდა. შემდეგ ამბობდა ყველგან ლიუ:

— რომ ნინო დუმბაძე არა...

* * *

ახლა ყველაზე მეტს შვილზე, იური დიაჩკოვზე მოგიყვებათ. იური დედას ჰგავს ტანით, დედასავით გამრჯე და დაუღალავია სპორტში. არცაა გასაკვირი—«სტადიონზეა გაზრდილი». მანაც სპორტის თითქმის ყველა სახე «მოსინჯა». ათჭიდზე შეჩერდა ბოლოს და ახლა მის წარმატებებზე ლაპარაკობენ არა მარტო საქართველოში.

— რის გაკეთებაც დედამ ვერ მოასწრო, შვილი გააკეთებს,—სიცილით ამბობს ნინო.—ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება სწრაფი დინებით მიდის წინ და ის, რაც კარგი იყო გუშინ, აღარ გვაკმაყოფილებს დღეს. ჩვენ ასე აღვიზარდეთ: ვეძიოთ და გავბედოთ!

ლია გოგიშვილი







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაბადების 80 წლისთავი

საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადების 50 წლისთავი



პოეტი ირაკლი აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ახალი ქართული მხატვრული ფილმი



კადრები ფილმიდან.

ე. სუსუნიკაშვილი
ფოტო ავტორის

თვრამეტი წელი სიჭაბუკის, იმედებისა და დიდ მისწრაფებათა ასაკია. მაგრამ სწორედ ამ ასაკში ადვილად შეიძლება წაბორძიკება, სწორი გზიდან გადახვევა, როგორც ეს დაემართა ახალი ქართული ფილმის «სად არის შენი ბედნიერება, მზია?» გმირს მზიას. მისი თანაკლასელები, მათ შორის ელგუჯაც, რომელთანაც მზია განსაკუთრებით მეგობრობს, გადაწყვეტენ სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დარჩნენ მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში. სხვა აზრისაა მზიას დედა ვერიკო, მას არ უნდა ქალიშვილი სოფელში დარჩეს, ოცნებობს ინსტიტუტში—თბილისში მოაწყოს და «გავლენიან» კაცზე გაათხოვოს. მზია მამას, რომელიც საბჭოთა მეურნეობის დირექტორია, არ სცალია, სახლში გვიან ბრუნდება და არ მონაწილეობს ქალიშვილის აღზრდაში. მზიამ ვერ ჰპოვა ძალა უარი ეთქვა დედისათვის და მასთან ერთად გაემგზავრა თბილისში, სადაც გაიცნო ახალგაზრდა ინჟინერი, პროფესორის ვაჟი ლადო ჩხეტიანი, რომელსაც დიდი ნაცნობობა აქვს. მასში მზიას დედა უკვე ხედავს მომავალ სიძეს. მხიარული, გარეგნულად მიმზიდველი ლადო უშინაარსო, არასერიოზული ადამიანია. მზია გატაცებულია ლადოთი და მისი გულისათვის ერთგულ ელგუჯას ივიწყებს. მაგრამ აი მზიამ გაიგო თუ რას წარმოადგენს ლადო ჩხეტიანი და მიხვდა თავის შეცდომას. მზიას უძნელდება დაშორდეს ლადოს, მაგრამ იგი მაინც პოულობს ძალას, დაბრუნდეს სოფელში, თავის მეგობრებთან.

ისინი ყველანი, რომლებმაც კოლმეურნეობაში გაიგეს შრომის ფასი, ინსტიტუტში შევლენ არა პროტექციით, არამედ საკუთარი ძალებით.

ფილმის გმირის მზიას როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლეილა აბაშიძე, ინჟინერ ლადო ჩხეტიანის როლს—ოთარ ხატიაშვილი, სპეციალობით ინჟინერ-კონსტრუქტორი, იგი კინოში პირველად გამოდის.

მაყურებელი სსრკ სახალხო არტისტს ა. ხორავას იხილავს მზიას ბიძის როლში.

ფილმში მონაწილეობენ აგრეთვე გოჩა აბაშიძე (ელგუჯა), დუდუხანა წეროძე (მზიას დედა), დ. ძიგუა, ი. უჩანეიშვილი, რ. ჩხიკვაძე, მერი ლომიძე, უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი ირმა ჩაჩავა, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი თინა სეფერთელაძე, ცისანა გელოვანი. მძღოლის როლში მაყურებელი ნახავს მსახიობ თენგიზ ამირანაშვილს, რომელიც 12 წლის ასაკში ქაჯანას როლს ასრულებდა.

ფილმის გადაღება წარმოებს გ. ჩიქოვანისა და ი. კროტკოვის სცენარის მიხედვით. ფილმის დამდგმელი-რეჟისორია გ. პიპინაშვილი, ოპერატორია—გ. ჭელიძე, მხატვარი—რ. მირზაშვილი. ფილმისათვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა, ხმის ოპერატორია რ. კეზელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. პ. ჩეხოვი

## 1860 1960

ერთხელ, ივანე ბუნინთან საუბარში, ჩეხოვმა სთქვა, რომ მის ნაწარმოებებს წაიკითხავენ სულ შვიდ წელიწადს, მერე კი დაივიწყებენ. ეს არ იყო პოზა... ბუნებით უაღრესად თავმდაბალს, ჩვეულებრივი წარმოდგენა ჰქონდა თავის შემოქმედებაზე, ისევე როგორც მის თანამედროვეებსა და მასთან ახლოს მყოფ ადამიანებს. იგი მათთვის იყო «საყვარელი ანტონი», «კეთილი ანტონი», «ჩვენი ანტონი» და არა გენიალური ჩეხოვი, როგორც ამჟამად ამბობენ მასზე შორს, მისი რუსეთის კიდეებს იქეთაც.

ალბათ, არავინ ფიქრობდა მაშინ, რომ მეოცე საუკუნეში, მსოფლიოს მხატვრული სიტყვის ოსტატთა შორის, ანტონ ჩეხოვი აღიარებული იქნებოდა როგორც ერთერთი ყველაზე პოპულარული დიდოსტატი, როცა უცხოობაში გარდაცვლილი მწერლის ცხედარს გერმანიიდან სამშობლოში ხამანწკის რონოდით მოასვენებდნენ...

უხამსობას ებრძოდა მთელი თავისი სიცოცხლე. მისი განქიქება ჩეხოვივით არავის შეეძლო: მხოლოდ იგი ჩასწვდა ყველაზე ღრმად ცხოვრებისეული წვრილმანობის ტრაგიზმს, დაუხატა ხალხს სამარცხვინო, უზადრუკი ყოფის ულმობელი სურათები.

და ამ უხამსობამ სამაგიერო გადაუხადა...

ტაგანროგელი მეშჩანინის შვილი, პროფესიით ექიმი, ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი, ბავშვობიდანვე იცნობდა რუსულ სინამდვილეს, იცნობდა ყოველგვარი წვრილმანებით, ნიუანსებით, ამიტომაც ასახა ასე ღრმად და ცოცხლად, ასე ფართოდ მაშინდელი წვრილბურჟუაზიული რუსეთი მთელი თავისი «სიდიადით».

მწერლის შემოქმედების პირველ პერიოდში, ანტოშა ჩეხონტეს ფსევდონიმით დაწერილ პატარ-პატარა მოთხრობებში, შესანიშნავად დაიხატა რუსული, მეშჩანური ყოფის უზადლო კომიკური სახეები. «მთელი რუსეთი,—უთხრა ერთხელ ჩეხოვმა გორკის, — არის რაღაც მსუნაგი და ზარმაცი ადამიანების ქვეყანა. აქ ჭამენ და სვამენ საშინლად ბლომად და უშნოდ; უყვართ დღისით ძილი და ძილში ხვრინავენ... ადამიანებს აქ ძაღლის ფსიქოლოგია აქვთ: თუ მათ სცემენ, ისინი ნელა წკმუტუნებენ და იმალებიან თავიანთ ბუნაგებში. თუ მათ ეფერებიან, წვებიან ზურგზე და აქნევენ კუდებს».

აუტანელი იყო დიდი მწერლისთვის ეს მეშჩანური რუსეთი მექრთამეობის, ადამიანის ღირსებისადმი უპატივისმცემლობის, მლიქვნელობის, უკულტურობის ქვეყანა—მას ზიზღს გვრიდა და სტანჯავდა ეს რეალობა, მაგრამ ოცნება უკეთეს მერმისზე აიძულებდა შერიგებოდა მის მიერვე თალხი ფერებით დახატულ სარდაფებს, სამრეცხაოებს, ირგვლივ გამეფებულ სევდისმომგვრელ სიღატაკეს. ავტორმა კარგად იცოდა, რომ ეს განწირული მეშჩანინები რუსეთის სოციალ-პოლიტიკური წყობის მსხვერპლნი იყვნენ. აქედანაა ჩეხოვისეული თანაგრძნობა თავისი გმირებისადმი. გაკიცხვას, სატირას მისი კალამი გაურბოდა; ძლიერთა წინაშე მხოხავები, სასაცილო ადამიანები ჩერვიაკოვი, პრიშიბეევი, ოჩუმელოვი და სხვები ისე არიან წარმოდგენილი, რომ თავისთავად სიბრალულს იმსახურებენ, როგორც უბედობის უდანაშაულო მსხვერპლნი.

პატარა, შეკუმშულ მოთხრობებში ჩეხოვის მიერ გამოკვეთილი ხასიათები უშუალო და საოცრად ლაკონიურია. იგი ვირტუოზია განწყობილების შექმნაში და ისიც სულ რამდენიმე წინადადებით.

ჩეხოვის პოპულარულმა მოთხრობამ «კაცი ფუტლიარში» განაზოგადა ის ჩარჩო, რომელშიც მოქცეული იყო რუსული საზოგადოება ოთხმოციან წლებში.

ცოცხალ-მკვდარი «ანთროპოსის», ბელიკოვის მეშჩანური ფსიქოლოგია უნათესავდება დოსტოევსკის შიგალევს, ოღონდ ის, რაც დოსტოევსკის ტრაგიკულ ფერებში აქვს მოცემული, ჩეხოვის კალმის ქვეშ კომიკურ იერს იღებს, თუმცა ამ საფარქვეშ ჰუმორით სავსე, მაგრამ მაინც დრამაა დაფარული.

საოცარია ჩეხოვის თანაგრძნობა ამ ადამიანებისადმი, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მისი რწმენის სიმბოლოს და დიდი ტალანტის შემოქმედების წყაროს ხომ ადამიანის სიყვარული და სიცოცხლის ხალისი შეადგენდა! სიცოცხლის სიყვარულს უძღვნა მან მოთხრობა «ტრამალი», ეს ყველაზე პოეტური ქმნილება ჩეხოვის შემოქმედებაში.

ლირიზმით, ნათელი კოლორიტით გამსჭვალული «ტრამალი» იყო ძლიერი სადღესასწაულო ჰიმნი სიცოცხლეზე, სიხარულზე, გოლიათური სამშობლოს სადიდებლად.

ჩეხოვმა შესძლო ტრამალის გარეგნულ ერთფეროვნებაში ჩასწვდომოდა მისი პეიზაჟის მთელ პოეტურ სამყაროს—ხმებს, ფერებს... იგი გრძნობს ბალახებისა და ყვავილების სურნელებას, ბუნების სიდიადეს, მის სუნთქვასა და სიცოცხლის ძალას... და ტრამალი სიცოცხლეს მონატრებულ ცოცხალ არსებად გვევლინება. ამ სურათებში ავტორი ანზოგადოებს მთელ რუსეთს მისი შთამაგონებელი სიდიადით. სამშობლოს შემოქმედებითი ძალების აყვავების სურვილით სუნთქავს ჩეხოვის ეს მშვენიერი პოემა-პეიზაჟი. «И в торжестве красоты, в излишке счастья чувствуешь напряжение и тоску, как будто степь сознает, что... богатство ее и вдохновение гибнут даром...»

ეს სინანული, რომ უმიზნოდ ილუპება სამშობლოს სიმდიდრე და შთაგონება, სევდამორეული ოცნება, რომ დადგება დღე და მთელი ძალით გაიშლება მხრებში ეს გოლიათი... არის იმედი ხალისიანი, ჩეხოვისებური, ხვალინდელ დღეზე, მომავალზე.

ამ მოთხრობით იწყება ანტონ ჩეხოვის შემოქმედების მეორე პერიოდი. მას მოჰყვა «ჩირაღდნები,» «მოსაწყენი ისტორია», «დუელი»... და ყოველი შემდგომ დაწერილი მოთხრობა ახალ-ახალი შენაძენი იყო რუსული და მსოფლიო ლიტერატურისათვის...

ოთხმოცდაათიან წლებში ჩეხოვი იწყებს ახალი დრამატული ფორმის ძიებას. 1895 წლამდე თეატრისათვის მის მიერ დაწერილი ნაწარმოებები იყო ნიჭიერად შესრულებული, მაგრამ თავისი მნიშვნელობით გაცილებით ჩამორჩებოდა მის მაღალმხატვრულ პროზას. ხოლო პიესით «თოლია» ჩეხოვი პირველად მოგვევლინა როგორც ბრწყინვალე დრამატურგი. «თოლია» ერთადერთი დიდი ნაწარმოებია, რომელიც უშუალოდ მიეძღვნა ხელოვნების თემას და რატომღაც ის პირადულ, მხოლოდ თავისთვის დაწერილ ნაწარმოებად გვეჩვენება. პიესა მოგვითხრობს შემოქმედის ძნელად სავალ გზაზე, ნიჭიერების რაობაზე და ბოლოს ადამიანურ ბედნიერებაზე.

«თოლია» განუსაზღვრელად მშვენიერი ქმნილებაა ჩეხოვის დიდი ნიჭისა; ის მარტივი და რთულია, როგორც თვითონ ცხოვრება... «ტბის ნაპირას ბავშვობიდანვე ცხოვრობს ახალგაზრდა ქალიშვილი, ისეთი, როგორც თქვენ. უყვარს ტბა როგორც თოლიას. ბედნიერი და თავისუფალია, როგორც თოლია. მაგრამ შემთხვევით მოვიდა ადამიანი, დაინახა ის და უსაქმურობისგან დაღუპა, როგორც ეს თოლია». ...მაგრამ, ნინა არ დაიღუპა, ყველასგან მივიწყებულმა იპოვა თავისთავში რწმენა და მიაღწია სასურველ მიზანს, იგი გაჰყვა ჭეშმარიტი ხელოვნების გზას..«მე თოლია ვარ. არა, ის არა.»

ძალის, ნებისყოფის, ამაყი ბედნიერების სიმღერაა «თოლია», მისი ლეიტმოტივი გამარჯვებაა. ამ პიესამ დააკავშირა ჩეხოვი მოსკოვის სამხატვრო თეატრს. და 1895 წლიდან დღემდე სცენიდან არ ჩამოსულა ჩეხოვის პიესები. ამ თეატრში გაიცნო ჩეხოვმა თავისი ცხოვრების თანამგზავრი მსახიობი ოლღა კნიპერი.

«მშვიდობით, ძველო ცხოვრებავ!», «გამარჯობა, ახალო ცხოვრებავ!»—გაისმის ოპტიმისტური ახალგაზრდული ხმა ჩეხოვის უკანასკნელი ნაწარმოების ფინალში—«ალუბლის ბაღში». ეს იყო გამოთხოვება ახალი, მზარდი, ხვალინდელი რუსეთისა დრომოჭმულ, განწირულ წარსულთან. ეს უკანასკნელი სიტყვები რუსი მწერლისა იყო სიცოცხლით სავსე, სასიხარულო მისალმება—ანდერძი სამშობლოს ახალი დღისადმი, იმედისმომცემ მომავლისადმი.

განსაკუთრებული, თავისთავადი და დიდი იყო რუსული ლიტერატურის ისტორიაში ჩეხოვის შემოქმედება. მისი ცხოვრება—შემოქმედის დიდი ცხოვრება და სიკვდილიც (იგი ძალიან ადრე გარდაიცვალა, 44 წლის ასაკში), კუპრინის სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით მას ჰგავდა...

**რ. მელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ა. ჩეხოვი

მოთხრობა

სასტუმროში, დიდ სავარძელზე ტელეგრაფისტი გრუზდევი წამოწოლილიყო, ქერა თავი ხელებზე დაეყრდნო, პატარა, წითელთმიან ქალიშვილს მისჩერებოდა და ოხრავდა.

— კატია, რამ გაიძულა ასე დაცემულიყავ? მითხარი!—ამოიოხრა სხვათაშორის გრუზდევმა,—მაინც როგორ გათოშილხარ!

გარეთ იყო მარტის ერთერთი ყველაზე საზიზღარი საღამო, ატალახებულ თოვლჭყაპს ოდნავ აშუქებდა მბჟუტავი ფარნების სინათლე, ყველაფერი იყო სველი, ჭუჭყიანი, ჩანაცრისფერებული... ჩუმად, გაუბედავად მღეროდა ქარი, თითქოს ეშინოდა არ აეკრძალათ მისთვის სიმღერა. ისმოდა ტალახზე ტყაპატყუპის ხმა... გული ამღვრეოდა ბუნებას.

— კატია, რამ გაიძულა ასე დაცემულიყავ?—კიდევ ერთხელ ჰკითხა გრუზდევმა.

კატიამ გაუბედავად ჩახედა თვალებში გრუზდევს. თვალები იყო პატიოსანი, ალალმართალი,—ასე მოეჩვენა მას, ეს დაცემული არსებანი კი პირდაპირ აფრინდებიან პატიოსან თვალებს, აფრინდებიან და აწყდებიან ისე, ვითარც ფარვანები ცეცხლს. ოღონდ შეხედე ოდნავი ალერსით და თუგინდ ფაფას ნუ აჭმევ სულაც. წეწავდა კატია სუფრის ფოჩს და თან მორცხვად მოუთხრობდა გრუზდევს თავის ბეჩავ თავგადასავალს. ამბავს სავსებით ჩვეულებრივს, საძაგელს: ის, დაპირება, გაბრიყვება და სხვ.

—რა უნამუსო ყოფილა!—ჩაიბუზღუნა გრუზდევმა აღშფოთებით.—არიან ასეთი არამზადებიც, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი! მდიდარია იგი თუ?

— დიახ, მდიდარია...

— ვიცოდი... თქვენც კარგები ხართ, თქმა აღარ უნდა. რატომ გიყვართ ასე ფული თქვენ, დედაკაცებს? რისთვის გჭირდებათ იგი?

— მეფიცებოდა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე უზრუნველმყოფდა,—წაიჩურჩულა კატიამ,—განა ეს ცუდი არის? ამან მაცდუნა... მე მყავს მოხუცი დედა.

— ჰმ... უბედურებო, თქვე უბედურებო! ყველაფერი ხომ სისულელით, სიმჩატით მოგდით... სულმოკლენი ხართ თქვენ, დედაკაცებო ყველანი! უბედურები, შესაბრალისნი... ყური მიგდე, კატია! ეს ჩემი საქმე არ არის, არც მიყვარს სხვის საქმეში ჩარევა, მაგრამ სახე ისეთი ტანჯული გაქვს, ძალა არ შემწევს არ ჩავერიო! კატია, რატომ არ გამოსწორდები? როგორ არ გრცხვენია? ყველაფრიდან ჩანს, რომ შენ მთლად დაღუპული არა ხარ, ჯერ კიდევ შეიძლება დაბრუნება... რატომ არ შეეცდები დაადგე ჭეშმარიტების გზას? შეგეძლო კი, კატია! სახე ასეთი კარგი გაქვს, თვალები კეთილი, ნაღვლიანი... და იღიმები როგორღაც მეტისმეტად მიმზიდველად.

გრუზდევმა ორივე ხელი დაუჭირა კატიას, თვალებიდან პირდაპირ სულში ჩაცქეროდა და ბევრ კარგ სიტყვას ეუბნებოდა. ლაპარაკობდა ჩუმად, მთრთოლვარე ტენორით, ცრემლმორეული... მისი მხურვალე სუნთქვა ელამუნებოდა კატიას სახეს, ყელს...

— გამოსწორება შეიძლება, კატია! შენ ჯერ ასე ახალგაზრდა ხარ... სცადე!

— მე უკვე ვცადე, მაგრამ... არაფერი გამოვიდა. იყო ყველაფერი.. ერთხელ მოახლედაც წავედი, თუმცა... აზნაურიც ვარ, ვფიქრობდი გამოსწორებას. ჩვენს საქმეს, ყველაზე ჭუჭყიანი შრომა სჯობს. ვაჭართან დავდექი... ვიცხოვრე ერთი თვე, და არა უშავს, ცხოვრება შეიძლება... მაგრამ დიასახლისმა იეჭვიანა ქმარზე, თუმცა ყურადღებასაც არ ვაქცევდი მას, იეჭვიანა, გამაგდო, ადგილი აღარ იყო და... ისევ თავიდან დაიწყო... ისევ!

კატიას თვალები გაუფართოვდა, გაფითრდა და უეცრად იწივლა. მეზობელ ნომერში ვიღაცას რაღაც გაუვარდა: შეშინდა ალბათ. წვრიტინა, ისტერიული ტირილის ხმა ყველა ნომრის თხელ ტიხარებში გავიდა. გრუზდევი წყალს ეცა. ათი წუთის შემდეგ კატია სავარძელზე იწვა და ქვითინებდა:

— საზიზღარი ვარ, ფლიდი! ყველაზე უარესი ამ ქვეყნად! ვერასოდეს ვერ გამოვსწორდები, ვერასოდეს, ვერასოდეს გავხდები წესიერი! განა მე შემიძლია? საძაგელო! გრცხვენია, იტანჯები? ასე მოგიხდება, უნამუსოვ!

კატიამ ცოტა სთქვა, გრუზდევზე ნაკლები, მაგრამ შეიძლებოდა ბევრის გაგება. მას სურდა წარმოეთქვა მთელი აღსარება, ასე ნაცნობი ყოველი «პატიოსანი გარყვნილისათვის», მაგრამ მისი სიტყვებიდან არაფერი გამოვიდა, გარდა ზნეობრივი თვითგვემისა. სული დაიფლითა მხოლოდ!

— ვცადე უკვე, მაგრამ არაფერი გამოდის! არაფერი! სულერთია, მაინც უნდა დავიღუპო!—ოხვრით დაამთავრა მან და თმა შეისწორა.

ახალგაზრდა კაცმა საათს შეხედა.

— ჩემგან სახეირო არაფერი გამოვა, თქვენი კი მადლობელი ვარ... ასეთი ალერსიანი სიტყვები პირველად მესმის ცხოვრებაში. მხოლოდ თქვენ ერთი მომექეცით ადამიანურად. თუმც მე უწესო, საზიზღარი ვარ...

და უცებ კატიამ შესწყვიტა ლაპარაკი. გონებაში ელვასავით გაუქროლა ერთმა პატარა რომანმა, რომელიც სადღაც და ოდესღაც წაეკითხა. ამ რომანის გმირს თავისთან მიჰყავს ზნედაცემული ქალი, გაუთავებელი ქაქანის შემდეგ ჭეშმარიტების გზაზე მოაქცია იგი, მოაქცია და თავის მეგობრად გაიხადა... კატია ჩაფიქრდა. მსგავსი რომანის გმირი ხომ არ არის ეს ქერა გრუზდევი? რაღაც წააგავს... ძალიანაც წაგავს. გულის ფანცქალით შეაცქერდა გრუზდევის სახეს, არამკითხე ცრემლები კვლავ გადმოიღვარა მის თვალთაგან.

— გეყოფა, კატია, დამშვიდდი!—ამოიოხრა გრუზდევმა და საათს შეხედა.—გამოსწორდები, ღმერთია შემწე, თუ კი ისურვებ.

ატირებულმა კატიამ ნელა შეიხსნა ქურქის ზედა სამი ღილი, რომანი ენაწყლიანი გმირით გაქრა მისი გონებიდან...

ვენტილატორში სასოწარკვეთით იწივლა ქარმა, თითქოს იგი ცხოვრებაში პირველად ხედავდა ძალადობას, რამ ზოგჯერ ძალუძს საარსებო ლუკმა პურს.

ზევით, სადღაც შორს, ჭერს იქეთ. დააბრახუნეს მოშლილ გიტარაზე უხამსი მუსიკა!

# მხოლოდ მე...

ჩემო ძვირფასო ცოლო!

შენ ყოველთვის მოუთმენლად ელოდები «საბჭოთა ქალის» ახალ ნომერს. მომირბენინებ და ნიშნისმოგებით მიმითითებ იმ გვერდზე, სადაც წერია «მხოლოდ მამაკაცებისათვის». ესეიგი. გამოდის, რომ აღსაზრდელი ვარ მხოლოდ მე?

ჩემო სიხარულო, შენს ნათესავებს ჩვენ ორივე დიდი აღტაცებით ვეგებებით. მაგრამ თუ ჩემები მოდიან, აღტაცებით ვეგებები მხოლოდ მე.

შენ გატაცებული ხარ ახალი სამზარეულო წიგნით და ყოველდღიურად ათას კულინარულ ექსპერიმენტს ატარებ. სწორედ ამის გამო კერძი ხშირად გიფუჭდება. მაგრამ, გენაცვალე, რატომ უნდა ვჭამო გაფუჭებული კერძი მხოლოდ მე?

ჩემო მომხიბლავო ცოლო! თეატრში შენს ახალ კაბას და შესანიშნავ ვარცხნილობას ყველა აღტაცებაში მოჰყავს. მაგრამ სახლში შენს ქობაჩამოხეულ ხალათს, შარშანდელი ცხიმის ლაქა რომ აქვს დამჩნეული და შენს გაჩეჩილ თმებს ვუყურებ მხოლოდ მე.

შენ სულ იმას მეუბნები, რომ მე ძალიან უბრალო ვარ, არავითარი სიკოხტავე არ გამაჩნია, არ ვარ საინტერესო მოსაუბრე. ამბობ, რომ ყველა შენი ყოფილი თაყვანისმცემელი ჩემზე ლამაზი იყო, ჩემზე განათლებული, ჩემზე მოხდენილი. მაგრამ, ჩემო მზეო, რად გავიწყდება, რომ ცოლად შეგირთე მხოლოდ მე?

გუშინ, შემოგევლე, შენ მითხარი, რომ გინდა ნეილონის ქურქი და მე გიპასუხე, რომ არ ვიცი საიდან ვიშოვო ფული. მაშინ შენ ტირილით მითხარი, რომ ეს ყველა კაცმა იცის და სულელი ვარ მხოლოდ მე.

ჩვენს დივანზე აუარებელი ბალიში და ნაქარგეჩია. იქ შეიძლება დასხდნენ შენი სტუმრები და მეგობრები. კატაც კი წევს ხშირად. დივანზე დაჯდომის უფლება არა მაქვს მხოლოდ მე.

შენ ყოველთვის მიწუნებ გემოვნებას და მიკრიტიკებ საჩუქრებს. ჩემო მზეო, შემდეგ 8 მარტს, როცა ყველა ქმარი მიართმევს თავის ცოლს საჩუქარს, არ ვიყიდი საჩუქარს მხოლოდ მე.

ბოლოს ამ წერილს მე ხელი უნდა მოვაწერო. მაგრამ ვერ ვბედავ—შენი მეშინია. აბა, ყველა მამაკაცის მაგივრად რატომ უნდა დავისაჯო მხოლოდ მე?

**შენი ქმარი**

# პოლონური იუმორი

## რ ე კ ლ ა მ ა

ესპანელმა მწერალმა ალონზო პინჩონემ გამოსცა წიგნი—«რთველი», რომელსაც არავინ ყიდულობდა.

მწერალს დაებადა გენიალური აზრი—მან შეუკვეთა ცნობილ გაზეთს შემდეგი შინაარსის განცხადება:

«ახალგაზრდა მდიდარი მამაკაცი ეძებს თავის გულისსწორს, შეიძლება, უფრო ხნიერს, მაგრამ ისეთი ხასიათისას, როგორიც რომან «რთველის» გმირი ქალია.»

## ვ ა რ შ ა ვ უ ლ ი ს ა უ ბ ა რ ი

— ჩვიდმეტი წლის განმავლობაში,—ოხვრით ამბობს მალინოვსკი,—ჩემი ცოლი და მე ყველაზე ბედნიერები ვიყავით.

— ერთი უყურე... მერე რა მოხდა?

— მერე? მერე ჩემი ცოლი ჩამოვიდა ჩემთან ვარშავაში.

## მ ს ხ ვ ე რ პ ლ ნ ი

ქირურგიულ განყოფილებაში ორი ყბაახვეული მამაკაცი საუბრობს

— როგორ შეგემთხვათ თქვენ ეს?

— ცოლს უნდოდა მისთვის მანქანა მეყიდა, მაგრამ მე არ დავეთანხმე... თქვენ როგორღა მოხვდით აქ?

— მე დავეთანხმე.

## ნ ა ტ ვ რ ა

უ ც ო ლ ო მ ა მ ა კ ა ც ი:

— იცი, ჩემო ძვირფასო, როგორ მენატრება მყუდრო და ლამაზი ცოლ-ქმრული ცხოვრება!

ც ო ლ ი ა ნ ი:

— მე შენზე მეტად მენატრება.

## ქ ა ლ თ ა ს ა უ ბ ა რ ი

— მამაკაცი, რომელსაც მე ცოლად გავყვები, უნდა უკრავდეს გიტარაზე, იყოს საინტერესო მთხრობელი, მღეროდეს კარგად, ცეკვავდეს მოხდენილად და ყოველ საღამოს იყოს სახლში.

— ჩემო ძვირფასო, ამისათვის შენ გჭირდება არა ქმარი, არამედ ტელევიზორი.

## ს ა ჩ უ ქ ა რ ი

— ახ, ჩემო კარგო,— მიმართა ქალმა ქმარს,—დამესიზმრა, რომ შენ მიყიდე ძვირფასი ოქროს ყელსაბამი. არ ვიცი, რას ნიშნავს ეს?

— ხვალ გაიგებ, ჩემო ძვირფასო.—უპასუხა ქმარმა.

მეორე დღეს მან შინ მიიტანა პატარა შეკრული. ცოლმა სწრაფად გახსნა და იპოვა... სიზმრების ამხსნელი წიგნი.

## მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი ხ უ მ რ ო ბ ა

ერთმა სიმპატიურმა ქალმა, რომელსაც ყველა «ოქროს მანდილოსანს» უწოდებდა, ჰკითხა ნაცნობ ოქრომჭედელს:

— რა ვღირებოდი მე, რომ მართლაც ოქროსი ვყოფილიყავი? ჩემი წონა 75 კილოგრამია. ძნელია ამის გამოანგარიშება?

— რა არის უფრო ადვილი! საჭიროა მხოლოდ 75 კილოგრამი გამრავლდეს 1 კილოგრამ ოქროს ფასზე.

ოქრომჭედელმა სწრაფად გამოიანგარიშა თანხა. ამ საუბარს ესწრებოდა ერთი მათემატიკოსი, რომელმაც საჭიროდ ჩასთვალა გამოეთქვა თავისი აზრი.

— ოქროს ქალო!—სთქვა მან,—ნუ ყიდი შენს თავს ასე იაფად. ოქრომჭედელს სურს შენი მოტყუება იმიტომ, რომ თუ შენ ახლა სისხლისა, ხორცისა და ძვლებისაგან შემდგარი იწონი 75 კილოგრამს, ოქროსი რომ იყო, აიწონიდი ბევრად, ბევრად, ბევრად მეტს...

— მართალია! დიდი მადლობა, რომ მასწავლეთ როგორ უნდა დავაფასო ჩემი თავი.

პოლონურიდან თარგმნეს **მედეა მალანიამ და სტანისლავ რავიჩმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელქაში



კლარა გაგუა

მხატვარი დ. ერისთავი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

7993

უნივერსიტეტიდან გამოვედით. ვსაუბრობდით ახლადაღმოჩენილ უძველეს ხელნაწერზე. ჩვენს წინ ორ ქალიშვილს შესანიშნავი გარეგნობის ვაჟი მიაცილებდა, რაღაცას უყვებოდა და ქალიშვილები კისკისებდნენ. ალაყაფის კარებთან ვაჟმა ისინი წინ მოხდენილად გაატარა. ქუჩაში მათ პატარა ბიჭები შემოეხვივნენ, ქალიშვილებს წვრილ-წვრილ ლელქაშებს აჩეჩებდნენ ხელში და ეხვეწებოდნენ:

— იყიდეთ რა? თითო—აბაზი...იყიდეთ...

— გვიხსენი, ზურაბ, შემოსევისაგან!—კეკლუცად უთხრა ვაჟს ტანმორჩილმა ქალიშვილმა და ყველასათვის შესამჩნევი სიყვარულით შესციცინა თვალებში.

ვაჟმა ადვილად მოიგერია აბეზრები. ახალგაზრდებმა კვლავ განაგრძეს გზა. ბავშვები ახლა ჩვენ გადაგვიდგნენ.

გამეცინა.

— მოდი, ნინო, ჩვენც გავიხსენოთ ახალგაზრდობა...—ღიმილით მითხრა ჩემმა თანამოსაუბრემ. ლელქაშები გამოართვა ბიჭს და გამომიწოდა.

შევკრთი უცებ. უსიტყოდ გამოვართვი.

«აგონდება?»—გამიელვა თავში. იქნებ ასეც იყო. ერთხანს თავჩაქინდრული ჩუმად მომყვებოდა. მერე მკლავში ხელი გამომდო და შეწყვეტილ საუბარს დაუბრუნდა. მე მხოლოდ მისი ხმა მესმოდა ახლა, სიტყვების შინაარსი კი არ მოდიოდა ჩემამდე.

ჩემს სახლს მივუახლოვდით.

— შემოდი, კახა...—ვუთხარი.

— სიამოვნებით, ნინო, მაგრამ მშობელთა კრებაზე მაგვიანდება...—სთქვა მან და საათს დახედა. გამომემშვიდობა და წავიდა. თავდახრილი ავყევი კიბეს.

ხელში ლელქაშები მეჭირა... მარტოხელა ადამიანის სევდა შემომყვა ოთახში. ჩანთა სავარძელზე მივაგდე და ფანჯრიდან ქუჩას გავხედე. ჩემი მზერა სწრაფად დაეწია ფეხაჩქარებულ კახას. ასე მივაცილე ქუჩის კუთხემდე...

წიგნების კარადასთან მივედი. პატარა ლარნაკს წავატანე ხელი. შიგ ერთადერთი გამხმარი ლელქაში იდო. ამოვიღე და ახლებს შევუერთე. მათ შეუბრალებლად დაჩაგრეს იგი, მაგრამ წელთა სიმძიმით გახუნებული ეს გამხმარი ლელქაში უსაზღვროდ ძვირფასი იყო ჩემთვის...

... გუშინდელ დღესავით მახსოვს. მაშინაც ზაფხული იყო, საღამო ჟამი. ცა იყო სუფთა და ლურჯი. მერცხლები მოწყვეტით ეშვებოდნენ ძირს და ლამაზი ფრთებით ეხებოდნენ მიწას, თითქოს ცის ამბორს გადასცემდნენ დედამიწას.

კახა, ქეთინო და მე უნივერსიტეტიდან გამოვედით. ერთ კვირაში მოსკოვს მივდიოდი სწავლის გასაგრძელებლად და სულ მათთან ყოფნა მინდოდა... ვიცოდი, ქეთინოს კახა უყვარდა...

ალაყაფის კარებს გავცდით და უცბათ წინ პატარა ბიჭი გადაგველობა. ლელქაშები ეჭირა ხელში. კახამ გამოართვა, რამდენიმე ქეთინოს მიაწოდა. დანარჩენი მე მომცა, ტუჩები ყურთან მომიახლოვა და ჩუმად მითხრა: «ხომ შეინახავ»?...

ეს ჩურჩული რაღაცის მომასწავებლად მეჩვენა და უცებ გული თითქოს გამიფართოვდა. მაგრამ მაშინვე გუნება მომეშხამა.

ქეთინო!

თვალი მისკენ გავაპარე. მას გრძელი წამწამები მიწისთვის დაემიზნებინა და გარინდებული მოგვყვებოდა.

არ შეიძლება გაეგო კახას ნათქვამი!..

მაგრამ იქნებ იგრძნო კახას ყურადღება ჩემდამი. ეს თითქოს კიდეც მიხარია და კიდეც მწყინს.

ღმერთო... რა მომდის...

ქეთინო ჩემი ბავშვობის მეგობარია. ახლა კი უნდა გაჰქრეს ეს მეგობრობა?! კახა უცნაურ ხასიათზეა. უცნაურად ოხუნჯობს, იცინის, ლაპარაკობს...მაგრამ ყოველივე ამის მიღმა მაინც დაძაბულობას ვამჩნევ.

ვერც კი შევნიშნეთ, როგორ გავჩნდით ქეთინოს სახლთან. მან ჩვეულებრივ მიგვიპატიჟა, მაგრამ უარი უთხრა რატომღაც კახამ.

ჩვენ წავედით, ფეხები აღარ მემორჩილებოდა, თითქოს უხილავი ძალა მეზიდებოდა უკან. რა უნდა იყოს?!

ქეთინოს თვალები! კარებთან დგას, ალბათ, და გვიყურებს.

რას ფიქრობს?

«ქეთინოს უყვარს კახა. ქეთინო ჩემი მეგობარია,»—ეს აზრები ამეკვიატა. უცებ მომესმა:

— ნინო... დიდი ხანია მინდა გითხრა... უშენოდ აღარ შემიძლია... და...

უნებურად შიშით ავხედე.

ღმერთო...მისი თვალები ისეთივე სუფთა იყო, როგორც ამ მშვენიერ საღამოს თბილისის ცა.

რა ახლოს იყო ბედნიერება...მე ვფიქრობდი, ვფიქრობდი...

ჩემს სახლთან შევჩერდით. კახა წინ დამიდგა და შემხედა.

— ნინო...პასუხის გაცემა გიჭირს?...იქნებ, — შემეშინდა სხვა რაღაც არ წამომცდენოდა და მივაყარე:

— მაპატიე, კახა... შეიძლება აქამდე უნდა მეთქვა შენთვის, მაგრამ...სხვა მიყვარს...

ცივად შემიშვა ხელი და უკან დაიხია. მისი თვალები ამ წუთს აღელვებულ ზღვას დაემსგავსა და აღარ იყო ცისფერი. მერე მშვიდად სთქვა:

— დამაგვიანდა...

ხელში ლელქაშები მეჭირა და ნერვიულად ვატრიალებდი. მან შეხედა ლელქაშებს, გამომართვა და სთქვა:

— ზედმეტია ესენიც...

«ხომ შეინახავ»?—გამახსენდა. მასაც მოაგონდა, ალბათ. ლელქაშები მოჭმუჭნა და გადაყარა. მერე ხელი ჩამომართვა და გამშორდა...

როგორ მინდოდა კიდევ რაღაც ეთქვა. მისმა მოგონილმა სიმშვიდემ გული მატკინა. ცრემლიანი თვალები გავაყოლე და დავინახე—მან შეუმჩნევლად ფეხი დაადგა ქვაფენილზე დაყრილ ლელქაშებს...

იქნებ განგებ დაადგა ფეხი?! იქნებ უნდოდა მათთან ერთად გაესრისა ამ საღამოს მოგონება?

არ ვიცი, არ ვიცი... მაგრამ ისე მომეჩვენა ლელქაშებს კი არა, ჩემს გულს დააბიჯა...

დავიხარე და ერთი გადარჩენილი ლელქაში ავიღე. იმ წუთს ვიგრძენი—თავდავიწყებით მიყვარდა...

ერთი კვირის შემდეგ მატარებელს მოსკოვისკენ მივყავდი. მიმქონდა დიდი სიყვარული და გადარჩენილი პატარა ლელქაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ზოგიერთი წინადადება

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, გამომდინარე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი ლენინური პროგრამიდან, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახეს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის. ეს ღონისძიებები ითვალისწინებს სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საფუძვლიან გარდაქმნას და გადაჭრით გაუმჯობესებას, სწავლების შინაარსის მნიშვნელოვნად შეცვლას, სწავლა-აღზრდის ახალი ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკაში დანერგვას.

ამ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია არა მარტო სკოლაში, არამედ ოჯახშიც აღმზრდელობითი მუშაობის შეცვლა და მისი ახლებურად წარმართვა. ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა დღეს იმდენად საჭიროა და აუცილებელი, როგორც არასდროს. ბავშვების აღზრდა ოჯახში მშობლების პირადი საქმე კი არ არის, არამედ უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ბევრი საბჭოთა ოჯახი სანიმუშოდ ზრდის ბავშვებს და საზოგადოებას ღირსეულ წევრებს უმზადებს, მაგრამ არის ოჯახები, სადაც აღმზრდელობითი მუშაობა მოუწესრიგებელია. ამით უნდა აიხსნას ბევრი ის ნაკლი, რომელიც ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდას ახასიათებს, არაკომუნისტური დამოკიდებულება შრომის, საზოგადოებრივი საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგისადმი.

იმისათვის, რომ ბავშვთა აღზრდა ოჯახში სათანადოდ იქნას დაყენებული და სავსებით შეუფარდდეს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის დიდ ამოცანებს, საჭიროა პირველ რიგში მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება.

აღზრდა მეტად რთული, ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა. ადამიანის აღზრდას შეუძლებელია თავი გაართვას ისეთმა პირმა, ვისაც სათანადო ცოდნა, მომზადება და გამოცდილება არა აქვს. ოჯახში ბავშვთა აღზრდის ნაკლოვანებების სულ მცირე ცხრა მეათედი მშობელთა პედაგოგიური მოუმზადებლობის შედეგია.

მშობელთა პედაგოგიური განათლების მრავალი გზა და საშუალება არსებობს. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია მეცნიერულ-პოპულარული პედაგოგიური ლიტერატურა, რომელიც ქართულ ენაზე ძალიან მცირე რაოდენობით მოგვეპოვება. წიგნები და ბროშურები ბავშვთა ოჯახში აღზრდის საკითხებზე ნაკლებად გამოდის. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ მშობლებისათვის წინა პერიოდებში გამოცემული ლიტერატურა ან საგრძნობლად მოძველდა, ან ბაზარზე აღარ მოიპოვება.

ჩვენის აზრით; აუცილებელია დაიგეგმოს და უახლოესი წლების განმავლობაში გამოიცეს ორიგინალური და ნათარგმნი სამეცნიერო-პოპულარული პედაგოგიური წიგნების და ბროშურების სერია «მშობელთა ბიბლიოთეკის» სახით. ეს დიდი საქმე სახელმწიფო გამომცემლობებმა «ცოდნამ» და «საბჭოთა საქართველომ» უნდა იკისრონ.

ბავშვთა ოჯახში აღზრის საკითხებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სათანადო პროფილის ჟურნალ-გაზეთებმა, კერძოდ, ჟურნალმა «კომუნისტური აღზრდისათვის» და გაზეთმა «სახალხო განათლებამ». საქმისათვის სასარგებლო იქნებოდა ჟურნალი—«კომუნისტური აღზრდისათვის» ბავშვთა ოჯახში აღზრდის საკითხებზე ცალკე განყოფილებას რომ შემოიღებდეს.

ამ უკანასკნელ პერიოდში კარგი ინიციატივა გამოიჩინა გაზეთმა «თბილისმა». გაზეთში დროგამოშვებით ქვეყნდება წერილები საერთო რუბრიკით «მშობელთა უნივერსიტეტი». კარგი იქნება, თუ ამ წერილების თემატიკა კიდევ უფრო გაფართოვდება.

ახლა ჩვენში არის სათანადო პირობები და იმის საჭიროებაც, რომ შეიქმნას სპეციალური ჟურნალი «ოჯახი და სკოლა». ასეთი ჟურნალის შექმნა მშობელთა შორის პედაგოგიური პროპაგანდის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა.

მშობელთა პედაგოგიური განათლების საქმეში დიდი როლი ეკისრება მხატვრულ ლიტერატურას, რომელშიც ასახული იქნება ოჯახში ბავშვთა აღზრდის გამოცდილება და აგრეთვე აღზრდისას დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი. ჩვენმა მწერლებმა უნდა გაითვალისწინონ მშობელთა ინტერესები და მოთხოვნილებები, იზრუნონ კარგი ნაწარმოების შექმნისათვის ოჯახში აღზრდის თემებზე.

ასევე ითქმის კინოსცენარისტებზე, რომლებსაც ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის პროპაგანდის ფართო შესაძლებლობა გააჩნიათ.

მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ლექციები, საუბრები, კონსულტაციები, თეორიული კონფერენციები და ა. შ. ეს საქმე დაკისრებული აქვთ სკოლებს, უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს (კლუბებს, კულტურის სახლებს, სამკითხველოებს და სხვა), პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონულ, საქალაქო და საოლქო განყოფილებებს და ა. შ. პედაგოგიური პროპაგანდის ეს სახე შედარებით კარგად არის გამოყენებული, მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ მოსაწესრიგებელია. ლექციები, მოხსენებები, საუბრები და სხვა მშობლებისათვის ტარდება, როგორც წესი, შემთხვევიდან შემთხვევამდე და არა გარკვეული სისტემით და თანმიმდევრობით.

ყველა პირობა კი არსებობს იმისა, რომ მშობელთა შორის პედაგოგიური პროპაგანდა ფართოდ გაიშალოს.

მისასალმებელია ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში მშობელთა უნივერსიტეტის შექმნა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია ჩვენს სკოლებთან, მათი გაერთიანების საფუძველზე, დირექტორის და პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შეიქმნას მშობელთა უნივერსიტეტები ან ლექტორიუმები, სადაც თვეში 1—2-ჯერ ლექცია-მოხსენებებს წაიკითხავდნენ, როგორც მოწვეული კვალიფიციური ლექტორები, ისევე სკოლის პედაგოგები.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ფართო მოძრაობაა გაშლილი კულტურის უნივერსიტეტების ჩამოსაყალიბებლად. მთელ რიგ ადგილებში უკვე შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კულტურის ეს ახალი კერები. მომავალში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

ჩვენის აზრით, კულტურის უნივერსიტეტებში აუცილებლად უნდა გაიხსნას პედაგოგიური ფაკულტეტები, ანდა შეიქმნას პედაგოგიური ლექტორიუმები მშობელთათვის.

ჩვენს მიერ წამოყენებულ წინადადებათა გატარება ხელს შეუწყობს მშობლების პედაგოგიური ცოდნის ამაღლებას, ცხოვრებისათვის მომზადებული კადრების აღზრდას.

**დ. ლორთქიფანიძე,** პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

**ს. სიგუა,** დოცენტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# მშობიარობისა და ლოგინობის ხანის ჰიგიენა

ორსულობა და მშობიარობა ქალის ცხოვრებაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც ის მუდამ დიდი მღელვარებით ელოდება. ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გავრცელებულია შეხედულება, რომ მშობიარობა ძლიერ ტკივილთან არის დაკავშირებული და, საერთოდ, არ შეიძლება მშობიარობა უმტკივნეულოდ ჩატარდეს. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი აზრია. თუ სამშობიარო დარბაზში მოხვდებით, შეამჩნევთ, რომ ყველა მშობიარე ერთნაირად არ უჩივის ტკივილს. განსაზღვრული ნაწილი (10—12 პროცენტი) სრულიად უმტკივნეულოდ მშობიარობს, ზოგი ძლიერ ტკივილებს უჩივის, ზოგი—შედარებით ნაკლებს. ერთი სიტყვით, თვითეული ქალი თავისებურად, ინდივიდუალურად განიცდის მშობიარობას. აქ მნიშვნელობა აქვს ქალის ორგანიზმის აგებულებას, მისი ნერვული სისტემის მდგომარეობას, აღზრდისა და ყოფით პირობებს.

ამგვარად, ტკივილი ყოველთვის როდი ახლავს მშობიარობას, თუმცა მშობიარეთა უმეტესობა ამ ტკივილს მაინც შეიგრძნობს. ეს იმი-

ტომ, რომ საშვილოსნოს კედლებში აუარებელი მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებებია, უმთავრესად სისხლის ძარღვების კედლებში. მგრძნობიარე ნერვები განსაკუთრებით საშვილოსნოს ყელშია განვითარებული. მშობიარობის დროს ხდება საშვილოსნოს შეკუმშვები, რაც განაპირობებს მგრძნობიარე ნერვებზე დაწოლას. ყველაფერი ეს შეიძლება იწვევდეს ტკივილის შეგრძნებას, მაგრამ ეს ტკივილი ყველა შემთხვევაში ერთნაირი არ იქნება და არც შეიძლება იყოს.

წარმოვიდგინოთ ქალი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ესმის, რომ მშობიარობა მძიმეა, მტკივნეულია და სხვა. ამ ქალს, რა თქმა უნდა, აწეული მგრძნობელობა ექნება მშობიარობის მიმართ, ის შიშით უყურებს ამ პროცესს და მის მოახლოებას განსაკუთრებით განიცდის, ფიქრობს ათას გართულებებზე, ბავშვის ბედზე... ასეთი ქალი ყოველთვის ძალიან ღელავს და მისთვის უმნიშვნელო სამშობიარო ტკივილიც კი აუტანელ ხასიათს იღებს. მაგრამ ამავე დროს ერთი რამ არის აღსანიშნავი: თუ ამ მშობიარეს თავზე ექიმი ადგას, ის მაშინვე წყნარდება და მშვიდდება, თითქოს ტკივილმა გადაუარა. მოშორდება თუ არა ექიმი, ქალი ისევ აფორიაქდება.

ეს მაგალითიც იმას ადასტურებს, რომ ტკივილი გაზვიადებული და გადაჭარბებულია უარყოფითი ფსიქიკური განცდებით. ამიტომ, თუ ქალს თავიდანვე შთავუნერგავთ, რომ მშობიარობა ფიზიოლოგიური მოვლენაა, რომ დედამისსა და მრავალ სხვა ქალს კარგად და იოლად მოუმშობიარებიათ, რომ მშობიარობა მძიმე ფიზიკური აქტია, რომელიც თვით მშობიარემ უნდა შეასრულოს,—მაშინ ქალი სამშობიაროდ დაწყნარებული მიდის, ზუსტად ასრულებს ექიმის დარიგებას და მშობიარობს ხშირად უმტკივნეულოდ ან გაცილებით უფრო ნაკლები ტკივილებით.

იმ შემთხვევაში, როცა ნერვული სისტემა ისეა აღგზნებული, რომ მშობიარეზე არ მოქმედებს ექიმის დარიგება და ახსნა-განმარტება, მეანები რომელიმე წამლეულს იყენებენ მშობიარობის გაუტკივარებისათვის. ეს უკვე ექიმის მოვალეობაა.

სამშობიარო დაწესებულებებში შექმნილია ყოველგვარი პირობები მისათვის, რომ მშობიარემ თავისი თავი მშობლიურ და ახლობელთა წრეში იგრძნოს. მყუდროება, ალერსი და გულისხმიერებაა ირგვლივრადგან ყოველი ზედმეტი, გამაღიზიანებელი ხმაური უარყოფითად მოქმედებს მშობიარეზე.

ვფიქრობ, ახლა უკვე ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ყველა ქალმა უნდა იმშობიაროს სამშობიარო დაწესებულებაში და აქვე გაატაროს ლოგინობის ხანა. ჩვენს ქვეყანაში სამშობიარო დახმარების საქმეს დაწესებულებათა მეტად ფართო ქსელი ემსახურება. ყველა რაიონშია ქალთა კონსულტაცია, ყველა სოფელშია ექიმი და ბებიაქალი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ხდება ისეც, რომ მშობიარე შინაურ ბებიაქალს უვარდება ხელში და საფრთხეში აყენებს თავის სიცოცხლეს. შინაურ ბებიაქალებსა და სხვა გარეშე პირებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს მშობიარესა და მელოგინის საწოლთან.

სამშობიარო დაწესებულებაში შესვლის მომენტიდან მშობიარეს ყველაფერი გასტერილებული ხმარდება, რათა დაზღვეულ იყოს ინფექციის შეჭრისაგან, ყოველთვის მზადაა სტერილური იარაღი და უზრუნველყოფილია კვალიფიციური საექიმო დახმარება. ამასთან აქ ქალი სწავლობს ძუძუების მოვლას, ბავშვის მოვლისა და კვების წესს და სხვა.

მშობიარობის შემდეგ პირველ საათებში და დღეებში ქალმა უნდა დაისვენოს. მას არაფერი არ უნდა აწუხებდეს, ბავშვის ტირილიც კი. მაგრამ ამავე დროს ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ბავშვი კარგ მოვლაშია.

რაც არ უნდა სასტიკად იცავდნენ მელოგინეს მნახველებისაგან, ოჯახში მაინც არ დაილევა ახლობლები, რომლებიც მის სანახავად მოდიან. მელოგინეს ეს ღლის, ქანცავს. ახალშობილს ხომ მოსვენებას არ აძლევენ—ხან ვის აჩვენებენ, ხან ვის. მელოგინის ბინაზე თითქმის ყოველთვის იმართება სტუმრობა, ხმაური, თამბაქოს წევა... დედაც და ბავშვიც ასეთ პირობებში საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან, ორივეს მოელის გართულებები და ინფექცია.

მელოგინისათვის ყოველთვის მყუდროება და სიმშვიდეა საჭირო. ასეთი პირობები მას მხოლოდ და მხოლოდ სამშობიარო დაწესებულებაში აქვს შექმნილი.

პროფესორი **ა. უხტიაშვილი**



# ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოში

1959 წლის 12-15 ოქტომბერს პრაღაში შედგა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კონტინენტის 52 ქვეყნის წარმომადგენელმა: 117 ქალმა.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) ე. კოტონის მოხსენება—ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ამოცანები მშვიდობისათვის ბრძოლაში კაცობრიობის წინაშე წამოჭრილ ახალ პერსპექტივებთან დაკავშირებით. 2) ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივნის კ. ძანტის მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის დღესასწაულისათვის მზადებაში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ამოცანებზე.

სესიის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში მაღალი შეფასება მისცეს ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც უდიდეს წვლილს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში და მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა მთავრობის წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, ხაზი გაუსვეს ამ საქმეში ქალთა აქტიური მონაწილეობის აუცილებლობას, რათა ყოველი ღონისძიებით მიღწეულ იქნას «ცივი ომის» პოლიტიკის შეწყვეტა, სახელმწიფოთა შორის კეთილგანწყობილების დამყარება და განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადების განხორციელება.

საბჭომ მოიწონა ე. კოტონის წინადადება უახლოეს დროში განიარაღების საკითხზე ქალთა საერთაშორისო ასამბლეის მოწვევის შესახებ, და მიიღო «მიმართვა ყველა ქალისა და ყველა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციებისადმი», მოუწოდა მათ ხელი შეუწყონ საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებას.

საბჭომ წერილით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომისიას, მოუწოდა მას დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით შეისწავლოს წინადადება განიარაღების შესახებ და მიიღოს უფრო ეფექტური ღონისძიება ამ საკითხის დადებითად გადაჭრისათვის.

ვიეტნამის, კამერუნის, ტოგოს, საფრანგეთის სუდანის დელეგატთა წინადადებით საბჭომ გენერალურ ასამბლეას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოითხოვა, რათა მან გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი და მოსთხოვოს საფრანგეთის მთავრობას შეწყვიტოს ატომური ბომბის გამოცდა საჰარაში.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიაზე დიდი ადგილი დაეთმო ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის 50 წლისთავის მომზადებისა და ჩატარების საკითხს.

კ. ძანტის მოხსენებაში ამ საკითხზე გაშუქებულ იქნა ის ამოცანები, რომლებიც დგანან როგორც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, ისე მისი ეროვნული ორგანიზაციების წინაშე.

მოხსენებაში ხაზგასმული იყო, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ეს კამპანია ქალთა დემოკრატიული მოძრაობის შემდგომი გაძლიერება-გაფართოებისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების ქალთა გაერთიანებისა და ქალთა სხვადასხვა სახის ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირის დამყარებისათვის. იუბილეს მომზადებისა და ჩატარების პროცესში უნდა შეჯამდეს 50 წლის მანძილზე ქალთა მოძრაობის დარგში მოპოვებული წარმატებანი, ამასთან მხილებულ იქნას მთელ რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებული ქალთა დისკრიმინაციის ფაქტები, ყურადღება გამახვილდეს ყველა ქვეყანაში ქალთა სრული თანასწორუფლებიანობის მოპოვების, მშვიდობისა და ბავშვთა ბედის პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისადმი.

თავიანთ გამოსვლებში დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათი ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ 8 მარტის 50 წლისთავის აღნიშვნისათვის მზადებას.

ასე, მაგალითად, უ ნ გ რ ე თ შ ი დასმულია ამოცანა—გააძლიერონ მუშაობა ქალთა ფაქტიური თანასწორუფლებიანობის მოსაპოვებლად იმ დარგებში, სადაც ასეთი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. გამოცხადებულია კონკურსი უნგრეთის ქალთა ფაქტიური მდგომარეობის შესახებ საუკეთესო მეცნიერულ-კვლევით ნაშრომზე, დაიწყო ქალებისადმი მიძღვნილი ორი სრულმეტრაჟიანი კინოფილმის გადაღება, ამ მიზნით წინასწარ გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო სცენარზე. უნგრეთის ქალთა ინიციატივით წარმოებს მზადება ბუდაპეშტში მხატვრული გამოფენის მოსაწყობად, სადაც ექსპონირებულ იქნება ქალთა ნამუშევრები.

ბ უ ლ გ ა რ ე თ შ ი შექმნილია მოსამზადებელი მუშაობის ჩამტარებელი სპეციალური კომისია, რომელშიც შედიან სამამულო ფრონტის, ბულგარეთის ახალგაზრდობის კავშირის, პროფკავშირებისა და ბულგარეთის ქალთა კომიტეტის წარმომადგენლები. შემუშავებულია იუბილეს ჩატარების გეგმა. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ დღესთან დაკავშირებით ოქროსა და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვოს ბულგარეთში ქალთა მოძრაობის დარგში მოღვაწე ქალები.

ფ ი ნ ე თ შ ი გათვალისწინებულია მუშა ქალთა მოძრაობის წარსულიდან ჩატარდეს მოგონებათა საღამოები, გამოიცეს ქალთა უფლებებისათვის მებრძოლ-ვეტერანთა მოგონებები, აგრეთვე ქალთა საერთაშორისო დღის-8 მარტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ალბომი და სხვა.

ა მ ე რ ი კ ა შ ი—ნიუ-იორკში, ვაშინგტონის და კალიფორნიის შტატებში შექმნილია საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც იუბილესთან დაკავშირებით აწარმოებენ მუშაობას, კერძოდ, საერთაშორისო შეხვედრებზე გასაგზავნად დელეგატების შერჩევას.

ი ა პ ო ნ ი ა შ ი 1960 წლის 8 მარტიდან 16 აპრილამდე ჩატარდება ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ერთთვიური. ერთთვიურის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმულ იქნება ქალთა სხვადასხვა ორგანიზაციები.

ი ნ დ ო ე თ შ ი საიუბილეო თარიღს მიეძღვნება პარლამენტის დეპუტატ ქალთა ყრილობა. გათვალისწინებულია აგრეთვე მოეწყოს მუშა-ქალთა ყრილობები, სადაც განიხილავენ თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების, ჯანმრთელობის დაცვის, ოჯახის პრობლემებისა და სხვა საკითხებს. ინდოელი ქალები ითვალისწინებენ მოაწყონ სიმღერის, დრამატული და ცეკვის ფესტივალები და გამოიყენონ იგი ქალთა მდგომარეობის შესახებ ახალი კანონების პროპაგანდისათვის. გათვალისწინებულია რამდენიმე გამოფენის მოწყობა, მაგალითად, ასეთ თემაზე—«პროგრესი ქალთა განათლების საქმეში 50 წლის მანძილზე».

ი ნ დ ო ნ ე ზ ი ა შ ი საიუბილეო კომისიამ შეიმუშავა გეგმა, რომელიც სხვა საკითხთა შორის ითვალისწინებს გამოფენებისა და პრესკონფერენციების მოწყობას.

## საბჭოთა ქალების კომიტეტში

# ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის 50 წლისთავის შესახვედრად

საბჭოთა ქალების კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის ერთერთ სხდომაზე განიხილა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სესიის შედეგები და საბჭოთა ქალების სახელით გამოსთქვა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს განიარაღების საკითხზე ქალთა საერთაშორისო ასამბლეაში, გაგზავნოს იქ საბჭოთა ქალების დელეგაცია.

კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოხატა საბჭოთა ქალების სურვილი მიიღონ მონაწილეობა ქალთა საერთაშორისო დღის 50 წლისთავის მომზადებასა და ჩატარებაში.

ამ დღესთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური გამომცემლობა გამოუშვებს ნარკვევების კრებულს, რომელშიც ნაჩვენები იქნება საბჭოთა ქალის სახე, მისი სულიერი სამყარო და სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარული.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა მოაწყოს ლექციების ციკლი და მომხსენებელთა დასახმარებლად გამოსცეს ბროშურები.

გამომცემლობა «იზოგიზი», «სოვეტსკი ხუდოჟნიკი» და სხვები გამოსაცემად ამზადებენ საიუბილეო პლაკატებს და ღია ბარათებს.

კულტურის სამინისტრო და მხატვართა კავშირი შეუდგნენ მხატვრული გამოფენის ორგანიზაციას—«საბჭოთა ქალი—კომუნიზმის აქტიური მშენებელი საბჭოთა კავშირში».

გადაღებულია და უახლოეს დღეებში ჩვენს ეკრანებზე ნაჩვენები იქნება ახალი ფერადი კინოსურათი «რუსეთის შვილები», მზადდება მოკლემეტრაჟიანი კინონარკვევი საბჭოთა ქვეყნის ქალებზე.

უზბეკეთის კინოსტუდიას დავალებული აქვს მოამზადოს კინონარკვევი ქალთა ცხოვრების პირობებზე აზიის ქვეყნებში.

რადიო და ტელეხედვა მოაწყობენ გადაცემათა ციკლს მიძღვნილს იუბილეს მომზადება-ჩატარებისადმი «სოვეტსკაია ჟენშჩინა», «რაბოტნიცა», «კრესტიანკა» და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ქალთა ჟურნალები გამოუშვებენ ამ თარიღისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნომრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედობის ტრაგედია

რა მწარე და ტრაგიკულია დედის ბედი კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც მეფობენ ძლიერნი და მძარცველობის კანონები. კაპიტალისტური ქვეყნების პრესის ფურცლებზე ყოველდღე ქვეყნდება ცნობები დედების დუხჭირი მდგომარეობის შესახებ. ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.



## ათასი საფრთხე

იტალიის დემოკრატიული ჟურნალი ქალებისათვის «ნოი დონე» ამასწინათ წერდა: პერუჯას პროვინციის სოფლებში, და საერთოდ იტალიის ბევრ სხვა სოფელში, დედობას ემუქრება ათასი საფრთხე და უსამართლობაო. ჟურნალში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რა ძვირი ჯდება ქალის—დედის სამედიცინო მომსახურება, რომ მშობიარე ქალები სრულიად მოკლებული არიან ელემენტარულ სამედიცინო დახმარებას, ამიტომ ხშირია ახალშობილთა სიკვდილიანობა. «დიახ, სხვაგვარად არც შეიძლება,—ნათქვამია ჟურნალში,—როცა 1.257 კომუნას* იტალიაში სრულიად არა აქვს სამედიცინო მომსახურება, ხოლო 1.172 კომუნა მოკლებულია სამეანო დახმარებას. განა შეიძლება სხვაგვარად იყოს იმ ქვეყანაში, სადაც დედის ხვედრია სიღარიბე, ცრურწმენა და უსამართლობა?»

## «შეიფარეთ ჩვენი შვილები!»

«კეთილო მამავ! თუ შეიძლება დროებით მაინც შეიფარეთ ჩვენი ჩვილი ბავშვები. გვერწმუნეთ, ძალიან გვიყვარს ისინი, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს მათი გამოკვების საშუალება. როგორც კი სამუშაოს და საცხოვრებელ ბინას ვიშოვით, მაშინვე დავიბრუნებთ მათ. გთხოვთ, ნუ გექნებათ ცუდი წარმოდგენა ჩვენზე. უბრალოდ არ გვინდა, რომ ბავშვებიც ჩვენსავით იტანჯებოდნენ. იზრუნეთ მათზე. ნუ გვეტყვით ამაზე უარს.

მისის და მისტერ რეი».

ეს წერილი ჩვილ ბავშვებთან ერთად იპოვეს ნიუ-იორკის ერთერთ კათოლიკურ ეკლესიაში.

## მწარე ფიქრების დღე

საფრანგეთში ყოველწლიურად აღინიშნება დედათა დღე. მაგრამ გასულ წელს 500 ათასი ფრანგი დედისთვის ეს იყო მწარე ფიქრების და დიდი ღელვის დღე: მათთან არ იყვნენ ბიჭები, მათი ვაჟიშვილები, რომლებიც გარეკეს უსამართლო და მკაცრ ომში ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ. ყოველდღე ელიან ფრანგი დედები ცნობას ალჟირში მებრძოლი შვილების დაღუპვის შესახებ.

**(გაზეთ „იუმანიტე“. საფრანგეთი)**

## დიდი სიკვდილიანობა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელ წრეებს სურთ კვლავ გადაჩეხონ გერმანელი ხალხი ომის უფსკრულში. გამალებული შეიარაღებისათვის გაწეულ უდიდეს ხარჯებს საბოლოო გალატაკებამდე მიჰყავს მშრომელები. სწორედ ამის შედეგია ახალგაზრდა დედების და ახალშობილ ბავშვთა დიდი სიკვდილიანობა. გაზეთი «ვესტფალიშე რუნდშაუ» ამასწინათ იტყობინებოდა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოველი 10 ათასი ახალგაზრდა დედიდან 15 მშობიარობის დროს კვდება. მთელ ცივილიზებულ სამყაროში გფრ დედათა სიკვდილიანობის მხრივ მეორე ადგილზეა იაპონიის შემდეგ. გაზეთი აგრეთვე წერდა, რომ ბონის მთავრობის მიერ გათვალისწინებული რეფორმა-ავადმყოფობის დროს დაზღვევის შესახებ, კიდევ უფრო გააუარესებს დედათა და ბავშვთა ისედაც სავალალო მდგომარეობასო.

## უსახლკარონი

დასავლეთ გერმანელი ჟურნალისტი ქალი, რომელიც ჰონკონგში იყო, წერს: «ყველგან ვხვდებოდი უსახლკარო ოჯახებს, რომლებიც ქუჩის კუთხეებსა და სადარბაზო შესასვლელებს აფარებენ თავს. თითქმის ყველა მათგანს ჰყავს დამშეული პატარა ბავშვები. ინგლისელები, რომლებსაც მე ამ საკითხზე ველაპარაკე, მხოლოდ მხრებს იჩეჩდნენ და აღიარებდნენ რომ ეს მდგომარეობა—პრობლემაა, რომელიც დღემდე ვერ გადაწყვეტილა».

**(ჟურნალი „მიუნხენერ ილუსტრირტე“, გფრ).**

---

[1] კომუნა—ადმინისტრაციული დაყოფის ყველაზე მცირე ერთეულია იტალიაში.

## ჩვენ ვშიმშილობთ

როგორც გაზეთი «უორკერი» იტყობინებოდა, ამასწინათ ქალაქ კლივლენდში (აშშ) დააპატიმრეს ორმოცი წლის ქალი სამი ბავშვით. მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ მთავარ ქუჩაზე გამოვიდა მკერდზე მიკრული პლაკატით: «ეკონომიური დაცემა გრძელდება. ჩვენ ვშიმშილობთ!»

«ქალბატონმა ვანდა ჰოლევამ,—წერს გაზეთი,—პოლიციას განუცხადა, რომ 5,7 და 10 წლის ასაკის მის სამ ბავშვს სამი წლის განმავლობაში არაფერი უჭამიათ პურისა და შაქრის გარდა. უფროსმა ბიჭმა სთქვა, რომ მან ერთხელ ხორციც ჭამა, მაგრამ, მგონი, ეს გასულ წელს იყო».

(გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“, აშშ).



### მაროს თხოვნა

— ჭრელი კაბა მისველდება,—
ეუბნება სოკოს მარო,
— ვიდრე წვიმა გადაიღებს,
გთხოვ, ქოლგის ქვეშ შემაფარო.

### ბებოს მიეხმარება

ზეინაბს სურს ისწავლოს
ყაისნაღის ხმარება.
ლამაზ წინდებს მოქსოვს და
ბებოს მიეხმარება.
თითისტარზე მატყლს ართავს,
ერთ წუთს არა სცალია.
ჯარასავით ტრიალებს,
მეოჯახე ქალია.

### მართლა ძროხად მოეჩვენათ?

გოჭები რომ ძუძუს წოვდნენ
მიხომ დაინახა.
გაიკვირვა — რას ვხედავო,
ვა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა!
ღორის რძე რომ არ ისმება,
ყველამ ვიცით კარგად.
გოჭებს ძროხა ჰგონიათო
'ეს ღრუტუნა, ალბათ.

### საყვედური ვაჟას

ლურჯი ველოსიპედი,
ახალი და კრიალა
მოგიტანე საჩუქრად,—
დასამტვრევად კი არა!
ყველაფერს რომ აფუჭებ,
განა გასახარია?!
სათამაშო რად გინდა,
თუ ვერ მოგიხმარია.

### წიგნის მოვლა ისწავლე

ხან ხვეწნა და თხოვნაა,
ხან ჩხუბი და კამათი,
გიას აღარ ეშვება,
გელა მთელი საათი:
— ასე ძუნწი რადა ხარ,
ასე გაუმეტავი,
წიგნს ხელში რომ არ მაძლევ,
ხომ არ შევჭამ ნეტავი?!
— ერთი მითხარ, მაშ რატომ
მოიმდურე ყველანი,
ზოგს საჭმელი მოაცხე,
ზოგს დაასხი მელანი.
«წითელქუდაც» გათხოვე
ჯერ გადაუფურცლელი,
ყდა ხელახლა «დახატე»,
ამოხიე ფურცელი.
ახლა ვეღარ გენდობი,
გული ნუ გამიწყალე.
წიგნის კითხვა თუ იცი,
წიგნის მოვლაც ისწავლე!

ბერდია ბერიაშვილი

## შაქრო სამადაშვილი

### ზამთრის სურათი

განა ფიფქები? — თეთრი ვარდები
ცვივა და ცვივა,
აუჰ,
რამდენი!
შენს სახლთან ვდგავარ, რაც თოვს, მის მერე,
არ ჩანხარ,
არ მეჩვენები.
მსურს ჩემთან იყო,
იყო,
მისმენდე,
თოვს, შენ რომ გიყვარს — შეუჩერებლივ.
მე შენზე ფიქრებს გადაუცდავარ.

## თამაზ შათირიშვილი

### ღამე სოფელში

გომბორის მთებზე ცისფერი ბინდი
მიცურავს, აქსებს უბირო ხრამებს,
მიდის და უთმობს მთელ სივრცეს რიდით
ჭიაურიდან წამოსულ ღამეს.

წამოდგა მთვარე კალთებზე მკვირცხლად,
სახემცინარე და მოღაღანე,
ქურდობისათვის მკაცრად გაკიცხა
ოდა-სახლებში შესული ღამე.

დიდხანს იდავეს,
დიდხანს იჩხუბეს,
მთვარემ უკუნი ხრამში დაჰკიდა,
ორღობეებში ჩაჯდა სიჩუმე,
სოფელში ტკბილი ძილი დამკვიდრდა.

* * *

ჩუმად შრიალებს ისლი
ნიავი ცელქობს როცა,
ღამეა...
ლურჯი ნისლი
ალაზნის ველზე ცოცავს.

ისმის ჩურჩული ვერხვთა,
მთვარე ჭიანწყეს უცქერს,
ო, მნათი ღრუბელს შეხვდა
და შიგ ჩაიხრჩო უცებ.
ღრუბლებს გაექცა მთვარე.
და გაიარა ისევ,
ყანჩა წყლისაგან მთვრალი
შეჰფარებია ისლებს.

## მედეა კახიძე

### შენი ოჯახის დიასახლისი

შენ გიკვირს ჩემი ქცევა ამგვარი,
ნასროლ ანკესზე რომ ვერ დავები,
შენა ხარ ჩემთვის ცივი ზამთარი,
მე-შენი სულის სავარსკვლავეთი.
კარგო,
ვთეთრდები კარგა ხანია.
შენ არ ხარ ჩემთან, მარტოს მაცვია
ზამთრული შალი...
დასანანია...
გარედ კარგია,
გნატრულობ,
მნახე,
ცვივიან ფიფქნი — ციურ ფრთოსნებად.
გამოჩნდი, თორემ ეს ჩემი სახე —
შენით სევდას თუ ჩაეზიარა —
თოვლით კი არა,
თოვლით კი არა —
ჭაღარის თოვლით
შეიმოსება.

იქნებ გგონია მე არ ვიცოდე,
რომ ის შავთვალა გყავდა საცოლედ,
დამსგავსებიხარ მაცვანს უცოდველს
და თვალთმაქცურად თავს მე მაწონებ.
მე ისიც ვიცი მრავალ ქალიშვილს
გადაუტარე გულზე სახნისი,
და ჰპირდებოდი, რომ გახდებოდა
შენი ოჯახის დიასახლისი.
[illegible] ბევრი ქალის გული გასწირე,
ვით გაცვეთილი წუღა-მესტები,
ახლა მაგ თვალებს ჩემთან აწვიმებ,
და კალაპოტში ვეღარ ეტევი.
თოვს. ქარში ცეკვავს თოვლის ფანტელი,
ხეები დგანან თეთრი ჩადრებით.
კმარა სიცრუების კორიანტელი,
ამ ფიფქებივით მე ვერ დაგდნები.
ჩემი ცრფიალი რისთვის გდომია
მე მერცხვინება შენდა სათქმელად,
განა ეს გული ჰიპოდრომია,
რომ შენ დაგითმო გადასათქერად?
თოვს. თეთრი თოვლი ხეებზე ანცობს,
მე ვერ დამიჭრა გული სახნისით,
მე არ გავხდები, უღირსო კაცო,
შენი ოჯახის დიასახლისი.

## ეთერ ჯლამაძე

### მზემ ჩაიცინა

და მთელი ღამე წრიალებს ქარი--
ვერ დაიძინა,
შრიალებს პალმა,
და როს გათენდა
ცამ ღრუბლები გადაიცილა.
მზეს კითხა ქარმა:
— ეჰეი, მზეო,
ჩემს საცრფოზე
არა იცი რა?
მზემ ჩაიცინა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღმოსავლეთური ზღაპრები

## სამი ოქროს ქანდაკება

ერთმა შახმა თავის მეზობელ ქვეყნის სულთანს საჩუქრად სამი ოქროს ქანდაკება გაუგზავნა, ერთნაირები როგორც ფორმით, აგრეთვე წონითაც და აცნობა, რომ მათი ღირებულება სხვადასხვაა. მან ეს იმისთვის გააკეთა, რომ გაეგო, თუ რამდენად ბრძენი და გამჭრიახია სულთანი და მისი ქვეშევრდომნი.

სულთანის კარისკაცებმა დაათვალიერეს ქანდაკებები და გამოიტანეს დასკვნა, რომ ისინი ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან.

ამ დასკვნამ სულთანი არ დააკმაყოფილა.

ცნობა ამ საჩუქრის შესახებ ჩქარა მთელ ქალაქში გავრცელდა, და აი, რომელიღაც ღარიბმა ახალგაზრდამ განაცხადა, რომ თუ მისცემენ ნებას თვალი გადაავლოს იმ ქანდაკებებს, ის მიხვდება და იტყვის, თუ რა სხვაობაა მათ შორის.

სულთანს აცნობეს ეს ამბავი და მან ბრძანა მოეყვანათ ის ყმაწვილი სასახლეში. დაათვალიერა რა ქანდაკებები, ყმაწვილმა შენიშნა, რომ ყველა მათგანს ყურებში ნახვრეტები აქვთ. როდესაც მან სცადა და ერთ მათგანს ნახვრეტში შეურჭო ფრინველის პატარა ფრთა, ფრთის წვეტმა თავი გამოჰყო ქანდაკების პირიდან. როდესაც მან იგივე გაიმეორა მეორე ქანდაკების მიმართ, ფრთამ თავი გამოჰყო ქანდაკების ყურიდან, ხოლო მესამე ქანდაკებაში, ფრთა შიგნით ჩავარდა.

მაშინ ყმაწვილმა სულთანს და მის კარისკაცებს მოახსენა:

— ამ ქანდაკებებს იგივე თვისებები ახასიათებს, როგორც ადამიანებს! პირველი ქანდაკება ჰგავს ისეთ ადამიანს, რომელიც, თუ რაიმეს გაიგებს, ხელად სხვებს უამბობს. ასეთ კაცზე დანდობა არ შეიძლება. ამიტომ მას ნაკლები ფასი აქვს. მეორე ჰგავს ისეთ კაცს, რომელიც ერთი ყურით მოისმენს და მეორე ყურში უშედეგოდ გაუშვებს. ეს ცარიელი და უსარგებლო კაცია. მესამე ქანდაკება კი ჰგავს ისეთ კაცს, რომელიც რასაც მოისმენს, თითქოს გადაყლაპავს, შეინახავს მას. ამიტომ მისი ფასიც ყველაზე დიდია.

სულთანს მოეწონა ღარიბი ახალგაზრდის ეს ბრძნული, თანაც სარწმუნო განმარტება და დიდად დაასაჩუქრა იგი.



## მზე, მთვარე და მამალი

### მალაიური ზღაპარი

ეს მოხდა შორეულ წარსულში, ისეთ შორეულ წარსულში, რომ გამოანგარიშებაც შეუძლებელია, თუ რამდენმა ახეულმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ.

ცხოვრობდა ცაზე სამი ღვიძლი ძმა: მზე, მთვარე და მამალი. და აი ერთხელ, როცა უფროსი ძმა—მზე სახლიდან გაბრძანდა, რათა მიწიერი არსებათათვის ნათელი მოეფინა, სახლში დარჩნენ მთვარე და მამალი. უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ლ. შენგელია

ითქვას, რომ მთვარე მეტისმეტად აუტანელი ხასიათისა იყო და ხშირად ავიწროებდა თავის უმცროს ძმას—მამალს. ამჯერადაც ისარგებლა უფროსი ძმის, მზის შინ არყოფნით, დაუწყო მამალს ჩხუბი. ის მამალზე ღონიერიც იყო. ბრაზმორეულმა ბიბილოებში ჩაავლო ხელი და დედამიწაზე გადაუძახა. როდესაც მზე სახლში დაბრუნდა და მთვარის ოინი გაიგო, მეტად განრისხდა, მაგრამ დაფიქრდა და ძმას უთხრა:

— მე ვხედავ, რომ შენ არ შეგიძლია წყნარად და მშვიდად იყო, თუ შენს ახლოს სხვებიც იქნებიან, თუნდაც ალალი ძმები. მეც არა მსურს, გხედავდე. ჩვენ სამუდამოდ უნდა გავითიშოთ. ამიერიდან მე დღით გავალ ცაზე, შენ კი ღამით, ისე, რომ ჩვენ ერთად აღარ ვიცხოვრებთ. რაც შეეხება ჩემს საყვარელ უმცროს ძმას—მე მას არასოდეს დავივიწყებ და ისეთ კავშირს დავამყარებ მასთან, რომ მანაც არასოდეს დამივიწყოს.

როგორც ბრძანა, ისე მოიქცა. იმ დღიდან მოყოლებული მამალი იგრძნობს რა მზის ამოსვლის მოახლოვებას, ყველა ცხოველს ასწრებს გამოღვიძებას, ეგებება მას და შესძახებს:

— ყიყლიყო!—რაც მის ენაზე ნიშნავს:—დილამშვიდობისა, ჩემო ძვირფასო ძმაო! საღამოს ბინდის მოახლოებისას კი მამალი ეწევა თადარიგს, რათა მთელი ოჯახით საჩქაროდ წავიდეს დასაძინებლად, რადგან არ სურს იხილოს მისი შეურაცხმყოფელი ძმა მთვარე.

## ბრძენი მზეთუნახავი

### ავღანური ზღაპარი

ერთხელ გზაზე მიმავალ მზეთუნახავს ერთი მამაკაცი აეკვიატა, ლანდივით შორი-ახლო მოსდევდა.

ქალი მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რისთვის არ მეშვები, უცნობო, რა გინდა ჩემგან?

— შეყვარებული ვარ შენზე, ულამაზესო ლამაზთა შორის!

ქალმა გაიღიმა და უთხრა:

— შენ ცდები, უცნობო! ამ გზაზე ჩქარა გამოივლის ჩემი და, რომელიც ჩემზე უფრო ლამაზია. მას გიშერივით შავი თვალები აქვს...

მამაკაცს გაეხარდა და ულამაზესის შესახვედრად უკან გაბრუნდა. ირბინა, ირბინა და ნახა: ძლივს მიჩანჩალებს გზაზე ბებრუხუნა, გამხდარი, სახედანაოჭებული დედაკაცი. მამაკაცი მიხვდა მზეთუნახავის ოინს და თავის შეცდომას. გაბოროტებით გადააფურთხა ბებრუხუნასაკენ, ისევ გამოუდგა მზეთუნახავს, დაეწია და ეუბნება:

— რისთვის მომატყუე, ლამაზო?

— არა, პირიქით, ეს შენ მომატყუე მე, უცნობო! თუ მართლა ისე გიყვარდი, როგორც გამიცხადე, მაშ რაღად გარბოდი სხვა ქალის შესახვედრად?

მიხვდა თავის შეცდომას ის მამაკაცი და სხვა რა გზა ჰქონდა, ჩამოშორდა იმ მზეთუნახავს.

## ემირი და მისი ამალა

### ტაჯიკური ზღაპარი

ემირი სანადიროდ გაემგზავრა თავისი ვეზირით და თან წაიყვანა მუშფიკი.[1] მათ უკან მოსდევდათ მსახური. ცხელოდა. ემირმა და ვეზირმა თავიანთი ოქროთჭედილი მძიმე ხალათები გაიხადეს და მსახურს აჰკიდეს.

— შეხე, მუშფიკო!—უთხრა ემირმა,—როგორი ამტანია ჩვენი მსახური! ყველაფერი ის, რაც ახლა მას მხრებზე ჰკიდია, სულ ცოტა ერთი ვირის ტვირთი იქნება!

— უფრო მეტიც, თქვენო უდიდებულესობავ,—მოუჭრა მუშფიკმა,—ის ორი ვირის ტვირთია.

[1] მუშფიკი-ტაჯიკური ფოლკლორის პოპულარული გმირი.

## თვალსაჩინო გაკვეთილი

### თურქული ზღაპარი

ერთხელ პატარა აჰმედი მამასთან ერთად ტყეში იყო. აჰმედმა ბუჩქებს შორის რაღაც უცხო ხილი დაინახა: «ოჰ, რა ლამაზი ხილია!» წამოიძახა მან და სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა. ერთი ცალი მოწყვიტა და პირში ჩაიდო, მაგრამ ერთბაშად დაიღრიჯა, პირიდან საჩქაროდ გადმოაგდო ნაყოფი და სთქვა:

— როგორ ვიფიქრებდი ასეთი ლამაზი ხილი თუ ასეთი მწარე იქნებოდაო. მამამ გაიგონა და უთხრა:

— ჩემო შვილო, დაე, ეს შემთხვევა შენთვის ჭკუის სასწავლი იყოს. საგნის გარეგანი სილამაზით ნუ მოტყუვდები. ადამიანებშიაც გვხვდებიან მაგ უცხო ხილის მსგავსნი, გარეგნული სილამაზით თვალს მოგჭრიან, მაგრამ ხშირად იმედებს გვიცრუებენო.

თარგმნა **გ. ცინცაძემ**

გარეკანის პირველ გვერდზე-«საახალწლო».
მხატვარი ეკატერინე ბაღდავაძე.
გარეკანის მეოთხე გვერდზე «თხილამურებით გასეირნება».
ფოტო გ. თიკანაძის

**გარეკანი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაზე**

რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი**.
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/I-60 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.

რედაქციის მისამართი. სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 35.000. **ფასი 3 მან.**
შეკვეთის № 1534, უე 00703

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

**საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**
**Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.**
**Издательство ЦК КП Грузии.**

როგორც შვილმა და მამამ, პირადი გამოცდილებით ვიცი, რაოდენ დიდია ქალის გავლენა ადამიანის მორალურ და ფიზიკურ განვითარებაზე, რაოდენ უშუალო და ზემოქმედია იგი მამაკაცის გავლენასთან შედარებით.

და მიუხედავად ამისა, დღესაც კი ქალები, ჩვენი დედები და დები, მეუღლეები და ქალიშვილები, განსაკუთრებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებში; იმყოფებიან მონის მდგომარეობაში. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც საზოგადოებრივი კანონით ცხოვრების ყველა სფეროში აღიარებულია ქალის ეკონომიური და პოლიტიკური უფლებები, ჯერ კიდევ მოქმედებენ ათასწლეული პატრიარქალური ტრადიციები.

სიხარულით ვფიქრობ იმ დროზე, რომელშიც იცხოვრებენ ჩემი შვილიშვილები და შვილთაშვილები, იმ ეპოქაზე, რომელსაც არ ეცოდინება არც სიღარიბე, არც უმუშევრობა, არც რასობრივი დისკრიმინაცია და არც კლასობრივი მტრობა, იმ ეპოქაზე, როცა პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრა, მათ შორის ქალთა ჩაგვრა, იქნება მხოლოდ და მხოლოდ მოგონება შორეულ წარსულზე. ხალხი იცხოვრებს ისეთ საუკუნეში, როცა გაქრება ის საზღვრები, რომლითაც დღეს ჩვენ ვართ შემოფარგლული. ისინი დაუბერებლად იცხოვრებენ 150 წლამდე და ამ ასაკშიც ახალგაზრდებად გარდაიცვლებიან.

მე მინდა ვუთხრა ქალებს, რომ სიამოვნებით შევსტრფი მომავალს, იმ დროს, როცა ძირფესვიანათ ამოიფხვრება მამაკაცის შეგნებაში ბატონობის პატრიარქალური სულისკვეთება და ქალის არსებაში ათასი წლობით გამჯდარი მორჩილების გრძნობა.

**ნაზიმ ჰიქმეთი**

**ჟურნალიდან „ჟენშჩინი მირა".**

თურქი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის სახელი დიდი ხანია გასცდა მისი სამშობლოს საზღვარს. ის ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარია. მთელი თავისი ტალანტი პოეტმა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას მოახმარა. 1937 წელს ნაზიმ ჰიქმეთი დააპატიმრეს და 28 წლით ციხე მიუსაჯეს, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთებამ და ენერგიულმა პროტესტმა აიძულა თურქეთის მთავრობა 1950 წელს გაენთავისუფლებინა პოეტი. ამავე წელს მიენიჭა მას მშვიდობის საერთაშორისო პრემია. ნაზიმ ჰიქმეთის ნაწარმოებთა ჩამოთვლა შეუძლებელია—მათი რიცხვი ძალზე დიდია, მაგრამ ყველას ახსოვს მისი ბრწყინვალე ლექსი „მკვდარი პატარა გოგონა" და ლექსი, რომელიც მან 1958 წლის ზაფხულში დაწერა ბერძენი პატრიოტის მანოლის გლეზოსის სიკვდილის კლანჭებიდან დასახსნელად.





ეროვნული
ბიბლიოთეკა